F-171
1986

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1986

ოქტომბერი **№ 10** ОКТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1986

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება

ქ. ზუგდიდის, ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 1-ლ კლასებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა ჩარიცხვის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ

F. 5400

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წარდგინებებისა და განათლების სამინისტროს მიერ ადგილზე ჩატარებული შემოწმებებით გამოვლინდა ცალკეული დარღვევები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 22 ივნისის დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ“ (27.06.84 წ. № 492) და „რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღებისა და მათთან მუშაობის ორგანიზების შესახებ“ (02.07.84 წ. № 502) შესრულების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ 1984 წლის დეკემბერში განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი „რესპუბლიკის თერთმეტწლიანი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზებისა და ამისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლითაც განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ მტკიცედ დაეცვათ თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესები, 1985 წელს კვლავ დადგინდა ამ საქმეში არსებული წესის დარღვევის ფაქტები ქ. ზუგდიდის 1-ლ, მე-4, მე-12, ლაგოდეხის მე-3 და სიღნაღის 1-ლ საშუალო სკოლებში (დირექტორები: ლ. ციმინტია, რ. კარტოზია, გ. ხარჩილავა (ყოფილი დირექტორი), შ. ჯინჭარაძე, ლ. აბრამიშვილი). სკოლის დირექტორების უყურადღებობით და საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით არის გამოწვეული ის, რომ აღნიშნული სკოლების 1-ლ კლასებში ჩასწორებული დაბადების მოწმობებისა და მმაჩის ბიუროს მიერ ყალბად გაცემული ასლების საფუძველზე ჩარიცხული არიან ბავშვები რომელთაც 1-ლ სექტემბრამდე არ შესრულებიათ ექვსი წელი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყველა დაბადების მოწმობაში გადასწორება იმდენად აშკარაა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, მშობლების მიერ გადასწორებული დაბადების მოწმობებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან ჩარიცხული ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე ია ვაჟას ასული ყურაშვილი (დაბადებული 1979 წლის 26 სექტემბერს), მარინე გიგლას ასული ჩხოტუა (1980 წლის 5 იანვარი), ტატიანა ჯიმშერის ასული პატარაია (1979 წლის 24 სექტემბერი), ქ. ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე დავით რუბენის ძე ხუბუნია (1979 წლის 8 სექტემბერი), ქეთევან პლატონის ასული ჯანანია (1979 წლის 11 ნოემბერი), ელენე გურამის ასული ლიხოვანოვი (1979 წლის 28 ოქტომბერი), ქ. ზუგდიდის მე-12 საშუალო სკოლის მოსწავლე ვალერიან ნუგზარის ძე სამელია (1979 წლის 9 ოქტომბერი), გიორგი გონერის ძე მიქავა (1979 წლის 13 ოქტომბერი), ლაგოდეხის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლე ნინო თამაზის ასული ნარინდოშვილი (1979 წლის 2 ოქტომბერი), სიღნაღის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე გიორგი ნოდარის ძე შაბალაძე (1980 წლის 13 მარტი), შოთა ვაჟას ძე ნიკვაშვილი (1979 წლის 13 ოქტომბერი), ვალერი ვლადიმერის ძე შიხაშვილი (1979 წლის 18 ოქტომბერი), ლალი შოთას ასული ჩუთლაშვილი (1979 წლის ოქტომბერი).

უფრო მეტიც, მოსწავლე ი. ყურაშვილს და ტ. პატარაიას დაბადების მოწმობებში დაბადების თარიღი ჩასწორებულია 2 სექტემბერზე, მიუხედავად ამისა, ბავშვები ჩარიცხულ იქნენ ქ. ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის 1-ლ კლასში.

ყოველივე ზემოაღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ დასახელებულ განათლების განყოფილებაში არ არის დაწესებული სათანადო კონტროლი და ხელმძღვანელობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე, არ არის გამახვილებული სათანადო ყურადღება 1-ლ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების დაცვაზე.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 25 აპრილის № 264 ბრძანების „საქართველოს ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების 1-ლ კლასებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა ჩარიცხვის შესახებ“ შეუსრულებლობისათვის ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. ქავთარაძეს და სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. რ. ბეჟაშვილს გამოეცხადოთ საყვედური, ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. თ. მაისურაძეს — მიეთითოს.

2. დაევალოს ქ. ზუგდიდის, ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონების განათლების განყოფილებებს ექვსწლიანთა 1-ლ კლასებში ჩარიცხვის საქმეში სერიოზული დარღვევების გამო განიხილონ ზუგდიდის 1-ლი

(დირექტორი ლ. ციმინტია), მე-4 (დირექტორი ი. კარტოზია), მე-12 (ყოფილი დირექტორი მ. ხარჩილავა), ლაგოდეხის მე-3 (დირექტორი შ. ჯინჭარაძე), სიღნაღის 1-ლი (დირექტორი მ. ასლანიშვილი) სამუშაო სკოლების დირექტორების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი დაკავებულ თანამდებობაზე მათი დატოვების მიზანშეუწონლობის დასმით.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

3. 1. მკაცრი კონტროლი დააწესონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1985 წლის 25 აპრილის № 264 ბრძანების შესრულებაზე.

3. 2. აღნიშნული გადაწყვეტილება განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, ყოველმხრივ გააანალიზონ ამ მხრივ გაწეული მუშაობა და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. აღნიშნული კოლეგიის გადაწყვეტილება გამოქვეყნებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება

გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული „პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის“ სტატიის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირის სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. მეტონიძის სტატია „პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის“, რომელშიც წამოჭრილი მართწესრიგისა და კანონიერების განმტკიცების აქტუალური საკითხები სრულად შეესაბამება განათლების სისტემის წინაშე დგომ იმ მიზნებსა და ამოცანებს. რომლებიც გამომდინარეობს სკკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და სასკოლო რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნებიდან; ისინი გამოხატავენ რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის და, მათ შორის, პედაგოგიური ფრონტის მუშაკების, დამოკიდებულებას უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებისადმი.

კოლეგია მწვავედ და თვითკრიტიკულად აღნიშნავს, რომ განათლების სისტემაში დღესაც არიან ერთეული უპრინციპო, ნამუსგარეცხილი მუშაკები, რომლებიც ჩირქს ცხებენ პედაგოგის წმინდა სახელს, სულიერად ამახინჯებენ აღსაზრდელებს. სისტემაში ჯერ კიდევ მრავლადაა სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების, მექრთამეობის, ფულის გამოძალვის, 8 კლასის წარჩინებით დამთავრების მოწმობებისა და მედლების დაუმსახურებლად გაცემის, პროტექციონიზმისა და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები.

სახალხო განათლების დარგის ხელმძღვანელი მუშაკები, სკოლის დირექტორები სათანადო კონტროლს არ აწესებენ სასაწვლო-აღმზრდელობითს პროცესზე, რის გამოც მასწავლებელთა ერთი ნაწილი ზერელედ ეკიდება პედაგოგის პასუხსაგებ მოვალეობას, უხარისხოდ ატარებს გაკვეთილებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეპეტიტორობის გავრცელებას და სხვა ნეგატიური მოვლენების ფეხმოკიდებას, ნოყიერ ნიადაგს ქმნის უშრომელი შემოსავლის მიღებისათვის.

კოლეგია იწონებს გ. მეტონიძის სტატიის წინადადებებს იმის შესახებ, რომ უშრომელ შემოსავალს სკოლის მერხიდანვე უნდა ვებრძოლოთ, რათა მოსწავლე ახალგაზრდობას თავიდანვე ჩავუნერგოთ შეურიგებლობა პარაზიტული ცხოვრებისადმი, კერძომესაკუთრული და მუშტრული ფსიქოლოგიის — ნივთის მონის ფსიქოლოგიისადმი, რომ საზოგადოებრივი გაკიცხვა და შურისგება სამართლებრივი ეთი-

კური ნორმებიდან ყოველგვარი გადახვევისათვის გარდაუვალია.

კოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს სტატიაში ადგილებს, სადაც უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლაში ოჯახის როლსა და მშობელთა მაგალითის ძალაზეა საუბარი, როცა აბსურდამდე მისულ მშობლიურ სიყვარულსა და მეურვეობას ანტისოციალური ელემენტების ჩამოყალიბებამდე მივყევართ.

ითვალისწინებს რა, გაზეთ „პრავდის“ ამ გამოსვლის პრინციპულ მნიშვნელობას და მას, რომ გ. მეტონიძის წერილში წარმოჩენილი საკითხები ახალ სტიმულს მიანიჭებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თვისებრივ გარდაქმნას, გააძლიერებს პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითს აღმავლობას, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— უზრუნველყონ აღნიშნული პუბლიკაციის საჯარო განხილვა მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე, პირველადი პარტორგანიზაციების, სასკოლო, მოსწავლეთა და კომკავშირულ კრებებზე, პიონერულ რაზმეულებში, სტატიაში მოტანილი კონკრეტული ფაქტების მიმართ შექმნან საერთო საზოგადოებრივი აზრი და მათდამი შეურიგებლობის სულისკვეთება;

— თითოეული სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულების ყოველდღიურ საქმიანობაში გაითვალისწინონ სტატიაში დასმული პრობლემები, მიაღწიონ მსგავსი ნეგატიური მოვლენებისადმი შშობლებსა და მოსწავლეებში დამგმობი განწყობილების შექმნას;

— შეისწავლონ და გამოავლინონ მალული რეპეტიტორობის ფაქტები და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ მათ; ღრმად ჩასწვდნენ რეპეტიტორომანიის მიზეზებს და ძირშივე აღკვეთონ ისინი; პარტიული შეფასება მისცენ განათლების მუშაკთა უშრომელი შემოსავლის მიღების ნებისმიერ მცდელობას;

— მოსწავლეთა შორის ფართო პროპაგანდა გაუწიონ საბჭოური ცხოვრების წესს; ჩაუნერგონ მათ შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული, მომხვეჭელობისა და კერძომესაკუთრული ფსიქოლოგი-

ის, კომუნისტური მორალის სხვა ანომალური მოვლენებისადმი შეუ-
რიგებლობის გრძნობა;

— აღნიშნულ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სისტემატურობა, წინასწარმოფიქრებული ტაქტი და გულისხმიერება, მაღალი ზნეობის პირადი მაგალითი; კატეგორიულად გამორიცხონ იერიშობანა, საქმისადმი ფორმალური, ზერელე დამოკიდებულება.

2. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება

ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, პროგრამებით, მეთოდიკური რეკომენდაციებითა და სხვა აუცილებელი ბეჭდური პროდუქციით მზადყოფნის შესახებ

ახალი სასწავლო წლისათვის გამომცემლობა „განათლების“ ბაზაზე ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის უნდა დაბეჭდილიყო 86 დასახელების სახელმძღვანელო, საერთო ტირაჟით 4.328,0 ეგზემპლარი.

მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის დაბეჭდილია 83 დასახელების სახელმძღვანელო; ბეჭდვის პროცესშია მესამე კლასის „რუსკოე სლოვო“, ორი სახელმძღვანელოს გამოცემის საკითხი, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით გადავადებულია მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე (ფრანგული ენა, VIII კლ. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები, X კლ.).

ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1986—1987 სასწავლო წლიდან მოქმედებაში შევა 15 დასახელების ახალი და ერთი გადამუშავებული სახელმძღვანელო.

ზოგადსაგანმანათლებლო რუსული სკოლებისათვის გამომცემლობა „განათლების“ ბაზაზე დაიბეჭდა 5 დასახელების სახელმძღვანელო, საერთო ტირაჟით 5,0 ეგზემპლარი.

აღნიშნული სკოლებისათვის რსფსრ-დან მიმდინარე წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით 67 სახელმძღვანელოდან სრულად მიღებულია 60 დასახელება; 4 სახელმძღვანელო მიღებულია ე. წ. „კუდებით“ (15,708 ეგზემპლარი).

ზოგადსაგანმანათლებლო სომხური სკოლებისათვის გამომცემლობა „განათლების“ ბაზაზე დაიბეჭდა 7 დასახელების სახელმძღვანელო საერთო ტირაჟით 140.0 ეგზემპლარი.

აღნიშნული სკოლებისათვის სომხეთის სსრ-დან მისაღები 56 სახელმძღვანელოდან მიმდინარე წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით შემოსულია 40 დასახელება, დარჩენილი 16 სახელმძღვანელოდან სომხეთის სსრ განათლების სამინისტროს ცნობით სექტემბრის ბოლომდე მივიღებთ 7 დასახელებას, ხოლო 9 სახელმძღვანელოს გამოცემა დაგვიანდება ნოემბრის ბოლომდე.

ზოგადსაგანმანათლებლო აზერბაიჯანული სკოლებისათვის გამომცემლობა „განათლების“ ბაზაზე დაიბეჭდა 7 დასახელების სახელმძღვანელო, საერთო ტირაჟით 120.0 ეგზემპლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული სკოლებისათვის აზერბაიჯანის სსრ-დან მისაღებ დასახელებიდან მიმდინარე წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით შეკრებულია 26 სახელმძღვანელო, დარჩენილ 5 დასახელებას, აზერბაიჯანის სსრ განათლების სამინისტროს ცნობით, მივიღებთ სექტემბრის ბოლომდე.

1986—1987 სასწავლო წლისათვის დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის გამოიცა 14 დასახელების მეთოდიკური რეკომენდაცია ოციათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა მეთოდური სახელმძღვანელო „საოჯახო ეთიკა და ფსიქოლოგია“ IX-X კლასებისათვის, ნ. ურუშაძის „წავიდეთ თეატრში“, რომელიც ესთეტიკური აღზრდის თემაზე გამოსაცემი ხუთტომეულის პირველი წიგნია; წლის ბოლომდე დაიბეჭდება 10 დასახელების მეთოდური ლიტერატურა მასწავლებელთათვის და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალა.

ახალი სასწავლო წლისათვის გეგმიური 720,0 მოსწავლის დღიურიდან დაიბეჭდა 536,0 ეგზემპლარი. ამ რაოდენობას ემატება გასული წლის ნაშთი 127,0 ცალი. აღნიშნული რაოდენობა სრულად დააკმაყოფილებს მოსწავლეთა მოთხოვნას დღიურზე.

ახალი სასწავლო წლისათვის გაყიდვაში იქნება 7 დახაზულობის რვეული, საერთო ტირაჟით —82 მილიონი.

იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკის სკოლები ახალ პროგრამებზე გადადიან 1987—1988 სასწავლო წელს ახალი პროგრამა დაიბეჭდა მხოლოდ მათემატიკაში, სხვა სასწავლო საგნებში სკოლები იმუშავებენ გასული წლების პრგრამებით.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობად იქნეს მიღებული სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსის ნ. ღლონტის ინფორმაცია „ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, პროგრამებით, მეთოდიკური რეკომენდაციებითა და სხვა აუცილებელი ბეჭდური პროდუქციით მზადყოფნის შესახებ“.

2. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) სისტემატური კონტროლი დააწესოს დარჩენილი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის ბეჭდვაზე.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 21 აგვისტოს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება „უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნა, რომ უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობა მათი შერჩევის, სწავლებისა და განაწილებისათვის სახალხო განათლების ორგანოების პასუხისმგებლობის ასამაღლებლად ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, არ შეესაბამება თანამედროვე პირობებში მოზარდი თაობის აღზრდისათვის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობისადმი წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს.

კოლეგია თვლის, რომ უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, რომლებიც აღნიშნულ დადგენილებაშია მითითებული, მეტ-ნაკლებად ჩვენი რესპუბლიკისათვისაცაა დამახასიათებელი, კვლავ დიდია სკოლებში უფროსპიონერხელმძღვანელთა დენადობა, დაბალია მათი განათლების დონე (უფროსპიონერხელმძღვანელთა მხოლოდ 40%-ს აქვს უმაღლესი განათლება). არ არის შექმნილი უფროსპიონერხელმძღვანელთა სწავლებისა და გადამზადების ერთიანი, მწყობრი სისტემა, ნაკლოვანებებია მათი შრომის ორგანიზაციის საკითხებში, ხშირ შემთხვევაში მათ საქმიანობას სკოლის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა მხრიდან სათანადო მხარდაჭერა და დახმარება აკლია. ჯერ კიდევ დაბალია უფროსი პიონერხელმძღვანელის პროფესიის საზოგადოებრივი პრესტიჟი, მისი ავტორიტეტი პედაგოგიურ კოლექტივში, კვლავ არ გამოიყენება უფროსი პიონერხელმძღვანელის შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირების საშუალებები.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. გადაწყვეტილება უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ.

2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად დამტკიცდეს უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა გეგმა 1986—1990 წლებისათვის (თან ერთვის).

3. სახალხო განათლების ორგანოებმა, სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების გადაწყვეტილებების, ზოგადსაგანმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მოთხოვნა-
თა გათვალისწინებით. ახლებური მიდგომის საფუძველზე განახორციელონ საჭირო ღონისძიებები ადგილებზე უფროსი პიონერხელმძღვანელების როლისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად.

4. რესპუბლიკის პედაგოგიურმა პრესამ (ამხ. ამხ. რ. ძერია, ნ. შველიძე) უფრო მკაფიოდ და სრულყოფილად ასახონ პიონერხელმძღვანელის პროფესიის მნიშვნელობა, მისი როლი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაძილერების ღონისძიებათა გეგმა (1986—1990 წ. წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერმუშაკთა გადამზადების კურსებსა და სემინარებზე, კომკავშირულ პოლიტგანათლების სისტემაში, პიონერხელმძღვანელთა მიერ სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების მასალებისა და დოკუმენტების ღრმად და ყოველმხრივ შესწავლის ორგანიზაცია, თითოეული პიონერხელმძღვანელის მიერ პოლიტიკური განათლების მიღების მიზნით სათანადო ღონისძიებების გატარება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სახალხო განათლების ორგანოები შესაბამის კომკავშირის კომიტეტებთან ერთად
1986—1990 წ. წ.

უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების დაუსწრებელ განყოფილებებზე კონკურსგარეშე მიღებისათვის უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევა და არსებული წესის საფუძველზე მათი წარდგენის ორგანიზაცია

განათლების ადგილობრივი ორგანოები
ყოველწლიურად

უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში — ისტორიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, უცხო ენების სპეციალობებზე მასწავლებელთა კადრების მომზადებისას დამატებით-აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდისტის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის დაყენება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე, შესაბამისი წინადადებების შემუშავება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1986 წ. IV კვარტალი

უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის, მათი ატესტაციის საკითხების ანალიზი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პიონერხელმძღვანელებთან მუშაობის პრაქტიკის შესახებ ანგარიშების პერიოდულად მოსმენა

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
1986—1990 წ. წ.

უფროსპიონერხელმძღვანელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების, ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის დაწესებული შეღავათების დაცვაზე სისტემატური კონტროლის დაწესება

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
1986—1990 წ. წ.

ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პერსპექტიულ გეგმაში პიონერხელმძღვანელთა საქმიანობის პრობლემათა გათვალისწინება. აღნიშნულის საფუძველზე შესაბამის სამსახურებთან ერთად მეცნიერული კვლევისათვის აქტუალური წინადადებების შემუშავება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად

1986—1987 წ. წ.

პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის აქტუალურ პრობლემებზე რესპუბლიკური თათბირის ჩატარება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად

1987 წ.

პიონერული მუშაკების მომზადებისა და გადამზადების ერთიანი-მწყობრი სისტემის შესაქმნელად პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლის მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის წინადადების შემუშავება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერებთან მუშაობის განყოფილებასთან ერთად

1986 წ. IV კვარტალი

უფროსპიონერხელმძღვანელთა კვალიფიკაციის სისტემატური და ხარისხობრივი ამაღლების უზრუნველყოფა განათლებისა და სტაჟის გათვალისწინებით

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, სახალხო განათლების ორგანოები, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე შესაბამის კომკავშირის კომიტეტებთან ერთად

1986—1990 წ. წ.

მცირეკომპლექტიანი სოფლის სკოლების შტატგარეშე უფროსი პიონერხელმძღვანელებისათვის პრაქტიკული დახმარების გაუმჯობესება, პიონერული მუშაობის საკითხებზე მათთვის სემინარების, თათბირების, კონსულტაციების ჩატარება, საჭირო მეთოდური ლიტერატურითა და მასალებით უზრუნველყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების ადგილობრივი ორგანოები კომკავშირის კომიტეტებთან ერთად
ყოველწლიურად

რესპუბლიკის რამდენიმე რეგიონში უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების არსებული პრაქტიკის შესწავლა და საკითხის კოლეგიის სხდომაზე განსახილველად მომზადება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1987 წ. I კვარტალი

უფროსპიონერხელმძღვანელთა პროფესიოგრამის ქართული ვარიანტის გამოსაცემად მომზადება, სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში მისი დანერგვის უზრუნველყოფა.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერებთან მუშაობის განყოფილებასთან ერთად
1987—1988 წ. წ.

უფროსი პიონერხელმძღვანელებისათვის გათვალისწინებული მეთოდიკური რეკომენდაციების, მითითებების მომზადებისა და გამოცემის სისტემის მოწესრიგება, მისი შემდგომი სრულყოფა

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1986—19887 წ. წ.

უმაღლესი განათლების მქონე, მოწინავე და გამოცდილი უფროსი- პიონერხელმძღვანელებისათვის, მათი სპეციალობების მიხედვით პირველი შესაძლებლობისთანავე პედაგოგიური დატვირთვის უზრუნველყოფა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა თანამდებობაზე აღნიშნული კატეგორიის პიონერხელმძღვანელთა აქტიურად დაწინაურების პრაქტიკის დანერგვა

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
1986—1990 წ.

მოწინავე უფროსპიონერხელმძღვანელთა საქმიანობის შესწავლის, განზოგადებისა და პროპაგანდის საკითხების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად
სისტემატურად

უფროსპიონერხელმძღვანელთა პროფესიის პროპაგანდის, მისი საზოგადოებრივი პრესტიჟის შემდგომი ამაღლების მიზნით, მათზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო მოთხრობის, ნოველის, სცენარის, სიმღერის შესაქმნელად კონკურსების მოწყობის ორგანიზაცია

ალმზრდელობითი მუშაობის სამმართველო პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად

1986—1990 წ. წ.

უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრების წახალისების მიზნით ახალგაზრდულ ბანაკებსა და ცენტრებში, ტურისტულ ჯგუფებში მათთვის ადგილების გამოყოფა

განათლების სამინისტრო საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად

1987—1990 წ. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება

პიონერული ორგანიზაციის საქმიანობისადმი პედაგოგიური დახმარების ქმედითობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს ბიურომ განიხილა საკითხი „ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშში „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები“ ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის მონაწილეობის შესახებ“.

დადებით მომენტებთან ერთად ბიუროზე აღინიშნა სკოლის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობაში არსებული მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც ამ ორგანიზაციისადმი პედაგოგიური დახმარების დაბალმა დონემაც განაპირობა.

აღნიშნავს რა, რომ ანალოგიური მდგომარეობა დამახასიათებელია რესპუბლიკის სხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვისაც, განათლების სამინისტროს კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს ბიუროს დადგენილება „ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშში „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები“ ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის მონაწილეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. პიონერული ორგანიზაციების საქმიანობისადმი მიზანმიმართული, კვალიფიციური დახმარების უზრუნველსაყოფად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დამტკიცდეს წარმოდგენილ ღონისძიებათა გეგმა.

3. დაევალოს სახალხო განათლების ორგანოებს აღნიშნული საკითხის ადგილებზე შესწავლა, სკკპ 27-ე და საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობების, ზოგადსაგანმანათლებლო პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებანი.

4. რესპუბლიკის პედაგოგიურ პრესაში (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ძერია) ფართო ასახვა ჰპოვოს პიონერული ორგანიზაციების საქმიანობისადმი სწორი პედაგოგიური ხელმძღვანელობის საინტერესო გამოცდილებამ.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული ორგანიზაციის საქმიანობისადმი პედაგოგიური დახმარების ქმედითობის ამაღლების ღონისძიებათა გეგმა

სკოლის ხელმძღვანელი კადრების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებისა და კლასის ხელმძღვანელების გადამზადებისას პიონერული მუშაობის პრობლემებზე სათანადო ყურადღების გამახვილება

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი
1986—1990 წ. წ.

პიონერული მუშაობის საკითხებზე, მასწავლებელთა დასახმარებლად, მეთოდიკური მითითებებისა და რეკომენდაციების მომზადება, მასობრივი ტირაჟით მათი გამოცემა

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1986—1990 წ. წ.

პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის პედაგოგიური მიმართულების უზრუნველსაყოფად პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, კლასის ხელმძღვანელთა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორთა მეთოდგაერთიანებებზე საკითხების მოსმენა და განხილვა

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
სისტემატურად

მოზარდებში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ფორმირების, მოსწავლეთა კოლექტივების ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის, პედაგოგთა მიერ ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის „რევოლუციური გვაქვს ნაბიჯები“ პროგრამის შესაძლებლობათა სრულყოფილად გამოყენება. ყოველი ღონისძიების პედაგოგიური ანალიზის საფუძველზე პიონერების საქმიანობისადმი სწორი პედაგოგიური დახმარების უზრუნველყოფა

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა
პედაგოგიური კოლექტივები, სახალხო განათლების
ადგილობრივი ორგანოები
სისტემატურად

ბავშვებსა და მოზარდებში ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის ჩვევების გამოსამუშავებლად კომპლექსური ხასიათის ღონისძიებების: დისპუტების, აგიტბრიგადების და ა. შ. პრაქტიკაში აქტიურად დანერგვა, მათი საქმიანობისადმი პედაგოგიური მიმართულების უზრუნველყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა
პედაგოგიური კოლექტივები, სახალხო განათლე-
ბის ადგილობრივი ორგანოები
სისტემატურად

შრომით აქციებში მოზარდების შეგნებული მონაწილეობის მი-
საღწევად პედაგოგიური კოლექტივების საქმიანობის მართვა
სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
სისტემატურად

მოდელირებისა და კონსტრუირების, ტურიზმის, მხარეთმცოდნე-
ობის, ნატურალისტური და საცდელი მუშაობის საკითხებით, შემოქმე-
დებით საქმიანობაში მოზარდების ფართოდ ჩაბმის საქმეში სკოლისა
და წარმოების კომკავშირელთა და მშობელთა მიზიდვა
სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა
პედაგოგიური კოლექტივების, სახალხო განათლე--
ბის ადგილობრივი ორგანოები
სისტემატურად

ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშში „რევოლუციური გვაქვს
ნაბიჯები" სკოლის პიონერული ორგანიზაციების მონაწილეობის შე-
დეგებსა და საქმიანობაზე სწორი პედაგოგიური დახმარების უზრუნ-
ველსაყოფად საკითხების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოსმენა,
კონკრეტული ღონისძიებების დასახვა და განხორციელება
სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები
პერიოდულად

მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის კლასის ხელმძღვა-
ნელთა და პიონერული ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის საკი-
თხებზე ზონალური მეთოდურ-პრაქტიკული კონფერენციების ჩატა-
რება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1987—1990 წ. წ.

პიონერული და კომკავშირული მუშაობის მეთოდიკის საკითხებ-
ზე კლასის ხელმძღვანელთა სწავლების ერთიანი სისტემის შექმნა
პიონერთა სახლები და სასახლეები, მეთოდკაბინე-
ტები, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგა-
ნოები
1986—1990 წ. წ.

ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშის მიხედვით პიონერებთან პე-
დაგოგიური კოლექტივების მუშაობის სტილისა და მეთოდების შეს-
წავლის, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის ად-
გილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევის თვალსაზრისით რესპუბ-
ლიკის მეთოდური სამსახურების თანამშრომელთა მივლინებების სის-
ტემის მოსეწრიგება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1986—1987 წ. წ.

ნორჩ ლენინელთა საკავშირო მარშში მონაწილეობისათვის, პიონერული ორგანიზაციების დასახმარებლად პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის პრაქტიკის შესწავლა (რეგიონის შერჩევით). საკითხის კოლეგიაზე განსახილველად მომზადება

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1987 წ.

პიონერებთან აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემებზე, თანამედროვე ეტაპზე, ამ საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით მოწინავე პედაგოგთა გამოცდილების გაზიარების ორგანიზაცია მასწავლებელთა კონფერენციებსა და პედაგოგიურ კითხვებზე.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები,
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
პერიოდულად

უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება (სპეცგეგმის მიხედვით).

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო
1986—1990 წ. წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიების 1986 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ერთობლივი მუშაობის შესახებ

განიხილეს რა ცნობა „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ერთობლივი მუშაობის შესახებ“, საქართველოს სსრ განათლებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების კოლეგიები აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მათი საბაზო საწარმოების მიერ, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობით, სკოლის რეფორმის განხორციელების განვლილი ორი წლის განმავლობაში ერთობლივი საქმიანობით მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეში გარკვეული მუშაობაა გაწეული.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მსუბუქი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ სკოლებში შექმნილია 24 სასწავლო-საწარმოო სახელოსნო, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატში — 14 და უშუალოდ საწარმოში — 50 საამქრო, რომლებშიც მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის მოწყობილია 1900 სამუშაო ადგილი, აქედან უშუალოდ საწარმოში — 1300.

აღსანიშნავია, რომ მარტო მიმდინარე სასწავლო წელს შეიქმნა 352 სამუშაო ადგილი. აღნიშნულ საამქროებსა და სახელოსნოებში თანამედროვე წარმოების საფუძვლების რესპუბლიკის 135 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 7100 მოსწავლე ეცნობა. მოსწავლეები შეგნებულად ირჩევენ პროფესიას და ამჟღავნებენ პროფესიული მომზადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის სურვილს. ისინი პრაქტიკულად ებმებიან წარმოებით ურთიერთობაში, ექმნებათ ცხოვრებისეული წარმოდგენა სოციალისტური საკუთრების. შრომისა და საწარმოო დისციპლინის შესახებ.

სასწავლო-საწარმოო საამქროები და სახელოსნოები, ძირითადად, აღჭურვილია თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით. დღეისათვის მოსწავლეთა განკარგულებაშია მსუბუქი მრეწველობის დარგის 584 სხვადასხვა სახის მანქანა და მოწყობილობა, რისთვისაც საბაზო საწარმოების მიერ დახარჯულია 298000 მანეთი.

სკოლებისა და საბაზო საწარმოების ერთობლივი მუშაობის შედეგია, ის, რომ საბაზო საწარმოებმა, კერძოდ: თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „„ბახტრიონმა“, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათმა“, თბილისის წინდების საქსოვმა საწარმოო გაერთიანებამ და სხვა საწარმოებმა მოაწყვეს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა შრომის კაბინეტები, სასწავლო სახელოსნოები, მომსახურებითი შრომისა და პროფორიენტაციის კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია სათანადო ხელსაწყო-იარაღებითა და მოწყობილობებით. საბაზო-საწარმოები სისტემატიურად უზრუნველყოფენ სკოლებს საწარმოო დაკვეთებით, უყოფენ სათანადო მასალებს და მოწყობილობებს მათ შესასრულებლად. შრომის ობიექტი შერჩეულია მოსწავლეთა ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მუშაობის პროცესში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ეკონომიკურ აღზრდას. ამ მიზნით საქართველოს სსრ განათლებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების 1985 წლის 20 მაისის № 268/329 ერთობლივი ბრძანებით თბილისის 62-ე და 115-ე, ქუთაისის მე-8 და 34-ე საშუალო სკოლებში, შესაბამისად თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“, თბილისის კამოლური დართვის ფაბრიკისა და ქუთაისის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება „გელათის“ ბაზაზე შეიქმნა სკოლა-ფაბრიკები, რომლებშიც შექმნილია მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის საჭირო პირობები. შრომითი მომზადების ამ ახალმა ფორმამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა თვითმართველობის როლის ამაღლებას, დღის რეჟიმის რაციონალურ გამოყენებასა და მათი ცოდნის დონის ამაღლებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის პროცესში მარტო 1986 წელს გამოშვებულ იქნა სხვადასხვა დასახელების 150031 მანეთის პროდუქცია.

ამასთან, მიუხედავად მიღწეული ერთგვარი წარმატებისა, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის ჯერჯერობით ყველგან არ არის შექმნილი მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ დარგში სახალხო განათლების ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობრივი ორგანიზაციების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მათი საბაზო საწარმოების მიერ ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებს და ამოცანებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლებისა და მათი საბაზო საწარმოების შეუთანხმებელი მუშაობის შედეგად მსუბუქი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების, კერძოდ: სამტრედიის ბამბის სართავი ფაბრიკის (სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), სამტრედიის ძაფსაგრეხი ფაბრიკის (სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), გორის ბამბეულის კომბინატის ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის ფილიალისა და სხვა საწარმოების მიერ ჯერ კიდევ არასაკმარისი ღონისძიებებია გატარებული მოსწავლეთა შრომითი და პროფესიული მომზადებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. არათანმიმდევრულად მიმდინარეობს მოსწავლეთა შორის პროფორიენტაციული მუშაობა, ურთიერთხელშეკრულებებით გათვალისწინებული საკითხების შესრულება, ნორჩ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქმიანობა, მოსწავლეთა შრომის დაცვა, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის წესებისა და ნორმების სრული დაცვა და სხვა.

ანალოგიური მდგომარეობაა საბაზო საწარმოების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (თბილისის 31-ე საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), თბილისის მოდელების სახლის (თბილისის 38-ე საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის (თბილისის 77-ე და მე-4 საშუალო სკოლების საბაზო საწარმო) და სხვა საწარმოებისა და სკოლების ერთობლივ მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების შესრულებისა და სკოლის რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ განათლებისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების კოლეგიებმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა:

1. 1. უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად სახალხო განათლების ორგანოებისა და მსუბუქი მრეწველობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ერთობლივი ...
ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულება.

1. 2. გაუმჯობესონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივების ორგანიზატორულ-პედაგოგიური ხელმძღვანელობა მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებაზე, საბაზო საწარმოს პროფილისა და მასობრივი პროფესიების კადრებზე მისი მოთხოვნების გათვალისწინებით.

1. 3. თანმიმდევრული დახმარება, ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ საბაზო საწარმოებში მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას, შეუსაბამონ იგი საპროგრამო საკითხების სწავლებას; მკაცრი მსჯელობის საგნად გახადონ მათი გაცდენებისა და დაგვიანების თითოეული შემთხვევა; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც სრულყოფს მოსწავლეთა საზოგადოებრივი საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების დისციპლინისა და ქცევის მაღალი კულტურის დაცვის ორგანიზაციას.

1. 4. საბაზო საწარმოს კოლექტივებთან და იმ სპეციალისტებთან მუშაობის დროს, რომლებიც საბაზო საწარმოების მიერ გამოყოფილნი არიან მოსწავლეთა პროფესიული მომზადების ხელმძღვანელობისათვის განსაკუთრებული ადგილი დაუთმონ პედაგოგიურ საკითხებზე ლექციებისა და საუბრების ჩატარებას.

1. 5. უზრუნველყონ საბაზო საწარმოს მიერ მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის გამოყოფილი მოწყობილობის, ტექნიკის, ხელსაწყოების მოვლა, დაცვა და დანიშნულებისამებრ გამოყენება.

1. 6. მოისმინონ და განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორების ანგარიშები მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში გაწეული მუშაობის შესახებ.

1. 7. ფართო პროპაგანდა გაუწიონ ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლის საბაზო საწარმოს ქუთაისის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება „გელათის", ქ. თბილისის მე-11 საშუალო სკოლის საბაზო საწარმოს თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკისა და სხვა საწარმოების მიერ შექმნილ „სკოლა-ფაბრიკის" მუშაობის გამოცდილებას და უზრუნველყონ მათი ქსელის გაფართოება.

1. 8. მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებაზე გაწეული მუშაობის მაქსიმალური უკუგების მიზნით უზრუნველყონ კურსდამთავრებულთა დასაქმება საბაზო საწარმოებში მიღებული შრომითი სწავლების პროფილის მიხედვით.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა:

2. 1. იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმის დადგენილებით ზოგადსაგანმანათლებლო-პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 30 აგვისტოს № 928 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოს შესახებ.

2. 2. საპროგრამო საკითხების სწავლებასთან მჭიდრო კავშირში, მოსწავლეთა ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით, განსაზღვრონ მწარმოებლური შრომის ხასიათი და შინაარსი.

2. 3. ანალიზი გაუკეთონ სკოლებსა და საწარმოებში არსებული შრომითი სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოს დებულების შესაბამისად შეიმუშაონ მისი სრულყოფის დამატებითი ღონისძიებები.

2. 4. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების უკეთ ორგანიზების მიზნით გამოყონ მატერიალური და ფინანსური რესურსები წარმოების განვითარების სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და კადრების მომზადების ფონდებიდან.

2. 5. უსასყიდლოდ გადასცენ სკოლებს სასწავლო მიზნით გამოსადეგი მოწყობილობა და მასალები, გამოუყონ მათ სახსრები მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის საჭირო სათავსოების მშენებლობის, რემონტისა და აღჭურვისათვის.

2. 6. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომის უზრუნველსაყოფად ცალკეულ უბანზე მიამაგრონ კვალიფიციური მუშები და ინჟინრები, მათთვის ადგილებზე ხელფასის შენარჩუნებით. არსებული წესის შესაბამისად მოაგვარონ მოსწავლეთა შრომითი ანაზღაურება.

2. 7. დაეხმარონ სკოლებს პროფორიენტაციული მუშაობის წარმართვაში, წარმოების საუკეთესო მუშაკები დამრიგებლებად მიამაგრონ მოსწავლეთა კოლექტივებს, შექმნან და ნაყოფიერად წარმართონ დამრიგებელთა მუშაობა.

2. 8. უზრუნველყონ იმ კურსდამთავრებულთათვის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება და სათანადო დოკუმენტების გაცემა, რომლებიც საწარმოებში გარკვეულ პროფესიებს დაეუფლნენ.

2. 9. გაატარონ ღონისძიებები მოსწავლეთა ეკონომიკური განათლებისათვის, უზრუნველყონ ნორჩ რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა სხვა სახის ტექნიკურ წრეებში მოსწავლეთა შემოქმედებითი საქმიანობა.

3. საბაზო საწარმოებში: თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის, ფეხსაცმელების გაერთიანება „ისნის“. შალის საქსოვი ფაბრიკის, ტრიკო-

ტაჟის თეთრეულის საწარმოო გაერთიანების, რუსთავის სატრიკოტაჟო ფაბრიკის, 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, მოდელების სახლის, გორის ბაბბეულის კომბინატის, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის ფილიალის, სამტრედიის სართავი ფაბრიკის ხელმძღვანელებმა გააქტიურონ მუშაობა სკოლის რეფორმის თანმიმდევრული განხორციელებისათვის.

4. 1987 წლის 1 კვარტალში შესწავლილ და განხილულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებულ საბაზო საწარმოსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთობლივი მუშაობის მოწინავე გამოცდილება.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილებას (ამხ. ვ. ბექაშვილი) და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილებას (ამხ. ე. მამასახლისი).

7. ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1987 წლის თებერვალში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი ნ. ჭასაძე

საქართველოს სსრ მსუბუქი
მრეწველობის მინისტრი
ბ. მაყაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების შესასრულებლად სახალხო განათლების ორგანოებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა ერთობლივი მუშაობის შესახებ

სახალხო განათლების ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებთან და საწარმოებთან ერთად ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით დასახული ამოცანებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ“ პრაქტიკულად განხორციელების საქმეში.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1984 წლის 3 მაისის № 197 ბრძანების „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესებისა და საწარმოო გაერთიანებებში მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ“ შესაბამისად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1984 წლის 24 ივლისს გამოსცა ბრძანება № 332 „მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ“, რომლითაც რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობას დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული მომზადებისათვის სათანადო პირობების შექმნა. გარდა ამისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 20 სექტემბრის № 22/16/35 ერთობლივი გადაწყვეტილებით დამტკიცდა საქართველოს

სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის მიერ სკოლის რეფორმის 1984—1990 წლების პერიოდში ეტაპობრივი განხორციელების ერთობლივ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა. დაწესებულია კონტროლი აღნიშნული ბრძანებისა და გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მსუბუქი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში კვალიფიციური კადრების საჭიროების გათვალისწინებით სწორად განსაზღვრეს და დაამტკიცეს მოსწავლეთა შრომითი სწავლების პროფილები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ ზემდგომმა ორგანოებმა შესაბამისი გადაწყვეტილებით რესპუბლიკის ცალკეული რაიონებისა და ქალაქების 135 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას საბაზო საწარმოდ დაუმტკიცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 52 საწარმოო გაერთიანება და საწარმო.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად საბაზო საწარმოების პასუხისმგებელ მუშაკთა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური განათლების დონის ამაღლების მიზნით 1984 წლის დეკემბერში ქ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ბაზაზე ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით მოაწყო ერთ კვირაში სწავლება-სემინარი. გარდა ამისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან ერთად 1985 წლის მაისში ჩაატარა დარგობრივ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და იმ მუშაკთა თათბირი, რომლებიც ადგილებზე უშუალოდ ხელმძღვანელობენ მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეს. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეში მოწინავე გამოცდილების შესწავლის მიზნით საბაზო საწარმოების ხელმძღვანელთა ჯგუფი 1984 წლის ივნისში მიავლინა ქ. ივანოვოს ბამბეულის

საქსოვ-საწარმოო გაერთიანებაში, ასევე ადგილზე იქნა შესწავლილი მოსკოვის ქარხანა „ხრომოტრონისა“ და მოსკოვის 370-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური და შრომითი კოლექტივების ერთობლივი მუშაობა. გამოცდილება განზოგადდა მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოო გაერთიანებასა და საწარმოში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანთლებლო სკოლებისა და მათზე მიმაგრებული საბაზო საწარმოების ხელმძღვანელების ერთობლივი მონაწილეობით შესწავლილ იქნა სკოლებში არსებული შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და სკოლის რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულ იქნა მისი შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები 1985—1990 წლებისათვის, რომლებიც დამტკიცებულ იქნა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით. აღნიშნული გეგმების თანახმად სკოლებსა და საბაზო საწარმოებს შორის გაფორმდა ერთობლივი მუშაობის ხელშეკრულებები, რომლითაც კონკრეტულად განისაზღვრა ერთობლივი მუშაობის პროცესში თითოეული მხარის ვალდებულებები.

სკოლებისა და საბაზო საწარმოების პედაგოგიურ და შრომით კოლექტივებს ერთობლივ მუშაობაში სახელმძღვანელოდ დაეგზავნათ სკოლის რეფორმის შესაბამისად შექმნილი ისეთი ნორმატიული დოკუმენტები როგორიცაა: დებულებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოს შესახებ, მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შესახებ, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის შესახებ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო საწარმოების მიერ სახსრების ხარჯვის შესახებ, სახალხო მეურნეობაში მოსწავლეთა შრომის ანაზღაურების პირობების შესახებ, რომლებიც მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და მათი საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ხელმძღვანელობას ანხორციელებენ და სხვა.

გატარებულ ამ და სხვა ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგალითად, გასულ 1985—1986 სასწავლო წელს მსუბუქი მრეწველობის დარგის სხვადასხვა პროფესიებს ეუფლებოდა რესპუბლიკის 135 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 7100-მდე უფროსკლასელი. მათ შორის საბაზო საწარმოების მიერ სკოლაში მოწყობილ 24 სასწავლო-საწარმოო სახელოსნოში — 1900, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოში მოწყობილ 50 სასწავლო-საწარმოო საამქროში (უბნებში)— 3500 მოსწავლე. სულ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, საბაზო საწარმოების მიერ შექმ-

ნილია 1900 სამუშაო ადგილი, აქედან უშუალოდ საწარმოში. კომპლექსური გეგმის შესაბამისად მიმდინარე წელს შეიქმნა 352 სამუშაო ადგილი. ამასთან, სკოლის რეფორმის ეტაპობრივი განხორციელების კომპლექსური გეგმის მიხედვით 1990 წლისათვის გათვალისწინებულია სამუშაო ადგილების რიცხვის 2500 ერთეულამდე გაზრდა. შრომითი სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის სკოლის რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად წარმართვისათვის მოსწავლეთა განკარგულებაშია 584 სხვადასხვა სახის მანქანა-დანადგარი და მოწყობილობა, რისთვისაც სულ დახარჯულია 298000 მანეთი.

კომპლექსური გეგმის შესაბამისად საბაზო საწარმოთა მიერ სკოლებში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებსა და უშუალოდ საწარმოებში თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებით შექმნილ სახელოსნოებსა და საამქროებში ნაყოფიერად ხორციელდება მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომა. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მარტო 1986 წელს მოსწავლეების მიერ გამოშვებული იქნა სხვადასხვა დასახელების 150031 მანეთის პროდუქცია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 19 ივლისის № 12/8/21/34 ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე წლის 26—28 მარტს ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის ბაზაზე ჩატარდა ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი, რომელსაც წინ სასკოლო, რაიონული და ზონალური კონკურსები უსწრებდა. კონკურსის საზეიმო გახსნაზე მოწვეულნი იქნენ სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები, სახალხო განათლების ორგანოების წარმომადგენლები და მსუბუქი მრეწველობის დარგის თბილისის საწარმოთა მოწინავე მუშები. დებულების შესაბამისად გამარჯვებულები დაჯილდოებულ იქნენ დიპლომებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. კონკურსის მონაწილეთა მასწავლებლებისათვის მოეწყო ექსკურსია თბილისის მაუდკამეოლის კომბინატში „საბჭოთა საქართველო“.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შესასრულებლად მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მსუბუქი მრეწველობის დარგის საბაზო საწარმოებისა და სკოლების ერთობლივი მუშაობის გარ-

ქვეული გამოცდილება იქნა შეძენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაზო საწარმოსა და სკოლის ერთობლივი მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ქუთაისის 34-ე საშუალო სკოლისა და მისი საბაზო საწარმოს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება „გელათის“ ერთობლივი მუშაობა, რაც განზოგადოებულ იქნა განათლების სამინისტროს 1986 წლის 22 თებერვლის კოლეგიის გადაწყვეტილებით. ქუთაისის 34-ე საშუალო სკოლაში კარგად არის ორგანიზებული მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომა, რომელიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის არსებითი ელემენტი და მოსწავლეთა შრომითი, ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. სკოლისა და საბაზო საწარმოს ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ მოსწავლეთა შრომითს ჩვენებს დაწყებითი კლასებიდანვე ჩაეყაროს მყარი საფუძველი. მოეწყო დაწყებითი კლასის შრომის კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია არა მარტო იმ მასალებით, რომლებიც საჭიროა საპროგრამო საკითხების სწავლებისათვის, არამედ იმ ხელსაწყო-იარაღებითაც, რომლებიც საჭიროა საბაზო საწარმოს შეკვეთების შესასრულებლად. II-III კლასების მოსწავლეები საბაზო საწარმოს დაკვეთით მზა ნაწარმის შესაფუთად ამზადებენ მუყაოს ყუთებს, სხვადასხვა ზომაზე ჭრიან და აწყობენ კაპრონის ზონრებს, მონაწილეობენ სკოლისა და საბაზო საწარმოს ტერიტორიის მოვლაში და სხვა. ამავე სკოლაში უფროსი და საშუალო ასაკის შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადებისათვის კარგი პირობებია შექმნილი. საწარმოო გაერთიანება „გელათმა“ თავისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებით შექმნა სასწავლო-საწარმოო საამქრო, რომელიც აღჭურვილია საკერავი მანქანებით, სამკერვალო საქმის სწავლებისათვის საჭირო დიდაქტიკური მასალებით, სქემებით, ნახაზებით, უსაფრთხო მუშაობის ამსახველი პლაკატებითა და სხვა. აღნიშნულ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში გაკვეთილზე მიღებულ თეორიულ ცოდნას მჭიდროდ უკავშირებენ პრაქტიკულ საქმიანობას. საბაზო საწარმოს მიერ გამოყოფილი სპეციალისტის დახმარებითა და ხელმძღვანელობით VI-X კლასების გოგონები ყოველთუიურად კერავენ და საბაზო საწარმოს აბარებენ 1200—1500 მანეთის პროდაქციას (ბალიშის პირები, ჩაის ტილოები, ზეწრები და სხვა).

საბაზო საწარმოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთობლივი მუშაობის შედეგია ის, რომ სკოლის რეფორმის შესაბამისად დიდი ყურადღება ექცევა უფროსი და საშუალო ასაკის მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებას. მათ საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში მონაწილეობას. საბაზო საწარმოების: თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის“ (დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რექტორი თ. დადიანი), თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება (დირექტორი ზ. იოსელიანი), თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველოს“ (დირექტორი მ. თექმეიშვილი), თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმის (დირექტორი კახიძე), თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების (დირექტორი უ. ქართველიშვილი), თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის (დირექტორი ე. თავაძე), გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი მ. ნიჟარაძე), ქუთაისის ნ. ლაკობას სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის (დირექტორი თ. ხარაბაძე). ქუთაისის კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანების (დირექტორი მ. შენგელია) და ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათის“ მიერ სკოლებში, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატებსა და უშუალოდ საწარმოებში მოწყობილ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებსა და საამქროებში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეები შემოქმედებითად მონაწილეობდნენ შრომითი კოლექტივების საზოგადოებრივ და საწარმოო ცხოვრებაში. საბაზო საწარმოებში: თბილისის სამკერვალო ფაბრიკის, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონში“, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, ქუთაისის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება „გელათსა“ და სხვა საწარმოებში დადგენილი წესის შესაბამისად წარმოებს მოსწავლეთა შრომის ანაზღაურება.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციის, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის გაძლიერების, მათი ეკონომიკური განათლების, სოციალისტური საკუთრების, გეგმის, შრომისა და საწარმოო დისციპლინის, ხელფასის შესახებ ცხოვრებისეული წარმოდგენის შექმნისა და სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საწყისების განვითარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1985 წლის 28 მაისის № 268/329 ბრძანებით თბილისის 62-ე და 115-ე, ქუთაისის მე-8 და 34-ე საშუალო სკოლების საბაზო საწარმოთა ბაზაზე შეიქმნა სკოლა-ფაბრიკები, რომლებიც ამავე ბრძანებით დამტკიცებული სკოლა-ფაბრიკის დებულების შესაბამისად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მოსწავლეთა მონაწილეობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მათი თავისუფალი დროის საწარმოო ორგანიზაციაზე, ხელი შეუწყო დღის რეჟიმის რაციონალური გამოყენებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რიგი დარგობრივი საწარმოს (საბაზო საწარმოს) ნაყოფიერი მუშაობა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგია იმისა, რომ თბილისის, ქუთაისისა და გორის სახალხო განათ-ლების ორგანოები პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით თანმიმდევრულ ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა საბაზო საწარმოებთან თანამშრომლობით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის საქმეში. ამავე დროს მათ იდეურად მტკიცე, მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდა მუშათა კადრების მომზადების გარკვეული გამოცდილება შეიძინეს, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მსუბუქი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებში მუშაობა დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა 12%-მა. ეს ის ახალგაზრდები არიან, რომლებსაც საბაზო საწარმოების საკვალიფიკაციო კომისიებმა უშუალოდ შრომითი სწავლების პროცესში მიანიჭეს კვალიფიკაცია და დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ.

ამასთან ერთად, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციისათვის ჯერ-ჯერობით შექმნილი არ არის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და მათი საბაზო საწარმოების მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს იმ გაზრდილ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც სადღეისოდ არის დაყენებული სკოლისა და მისი საბაზო საწარმოს წინაშე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საბაზო საწარმოების შეუთანხმებელი მუშაობის შედეგია ის, რომ მსუბუქი მრეწველობის საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, კერძოდ, სამტრედიის ბამბის სართავ ფაბრიკას (სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), სამტრედიის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკას (სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), გორის ბამბეულის კომბინატ ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის ფილიალს (სოფელ ბორითის საშუალო სკოლის საბაზო საწარმო) ჯერ კიდევ არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ზემოდასახელებული საწარმოები არ ასრულებენ ურთიერთხელშეკრულებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკისრ ვალდებულებებს, არაა გამოყოფილი სასწავლო-საწარმოო საამქროები, უბნები, თეორიული სწავლების კაბინეტები. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და მათი მწარმოებლური შრომის ხელმძღვანელობისათვის არ არიან გამოყოფილი საწარმოო სწავლების ოსტატები. იმის გამო, რომ არაა გამოყოფილი სასწავლო-საწარმოო საამქროები და დამოუკიდებელი სამუშაო ადგილები, მოსწავლეები მთელი ოთხი საათის განმავლობაში შესცქერიან, თუ როგორ მუშაობენ კვალიფიციური მუშები (მკერავები, მქსოველები და სხვა). ზოგჯერ მოსწავლეებს გამოშვებული პროდუქციის შემფუთველებად იყენებენ, ზოგ შემთხვევაში კი დაუსაქმებელნი არიან, რის გამოც მოსწავლეებს ეკარგებათ შრომისადმი ინტერესი, ეცემა შრომის კულტურა და საერთო დისციპლინა, ტექნიკისა და მუშური პროფესიების დაუფლებისადმი მისწრაფება. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ მომავალი პროფესიის არჩევის საქმეზე.

ანალოგიური მდგომარეობაა საბაზო საწარმოების: თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის (თბილისის 31-ე საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), თბილისის ტანსაცმლის მოდელების სახლის (თბილისის 38-ე საშუალო სკოლის საბაზო საწარმო), თბილისის ტრიკოტაჟის № 1 ფაბრიკის (თბილისის 77-ე და 84-ე საშუალო სკოლების საბაზო საწარმო) და სხვა საწარმოებისა და სკოლების ერთობლივ მუშაობაში.

არის შემთხვევები, როდესაც საბაზო საწარმოები მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად გამოყოფენ მოძველებული ტიპის დაზგებს, მაგალითად თბილისის პირველი მაისის რაიონის მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი თბილისის მაუდ-კამვოლის საწარმოო კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მიერ მოწყობილ საამქროში მოსწავლეები მოძველებული ტიპის დაზგებზე მუშაობენ.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარების რიგი საბაზო საწარმოების ხელმძღვანელები შრომითი აღზრდის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის დროს უწყებრივ შეზღუდულობას იჩენენ, იმიზეზებენ საწარმოო გეგმების შესრულებას, კაპიტალურ მშენებლობებს და სხვა. არ ასრულებენ მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საწარმოს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ჯერ კიდევ არაა საქმიანი კონტაქტები დამყარებული საბაზო საწარმოებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის, არ წარმო-

ებს საწარმოების მიერ გამოყოფილი საწარმოო სწავლების ოსტატების პედაგოგიზაცია, მათთან არ ტარდება საუბრები მოსწავლეთა შრომითი აღზრდის გაუმჯობესების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებების აღმზრდელობით მნიშვნელობაზე, სკოლის რეფორმის განხორციელების საქმეში მათ ვალდებულებებზე და სხვა. ამასთან, სუსტია სკოლის დირექტორების კონტროლი მოსწავლეთა შრომით საქმიანობაზე, მათ განწყობაზე, შრომისათვის სასათანადო პირობების შექმნაზე. აღნიშნული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სკოლები და საბაზო საწარმოები არ აყენებენ საქმიან წინადადებებს ზემდგომ ორგანოებში.

თბილისის მე-6, მე-9, 112-ე, 113-ე, 149-ე საშუალო სკოლების IX-X კლასელი 360 გოგონა პროფესიულ მომზადებას პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში გადის, სადაც მათ სწავლებისათვის არ ეწევათ სათანადო კონტროლი და მეთოდური დახმარება. არ ხდება საბაზო საწარმოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთობლივი მუშაობის შესწავლა მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში, არ ხდება საქმიანი წინადადებების ზემდგომ ორგანოებში დაყენება, არ ეწყობა საქმიანი შეხვედრები საბაზო საწარმოების ხელმძღვანელებთან, შრომითი აღზრდის აქტუალური საკითხების ერთობლივი შესწავლა, განხილვა და სხვა.

ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების დროულად განხორციელების საქმეზე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილება

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით კოლეგიის 1986 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაში „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შუქზე მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარების შესახებ“ ზოგიერთი ცვლილების შეტანის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 1986 წლის 13 დეკემბერს ჩატარდეს რესპუბლიკური თათბირ-სემინარი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლო ინსპექტორების, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების დირექტორების, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების, სკოლების საბაზო საწარმოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მომწყობი კომისია შემდეგი ცვლილებით:

ნ. ჩიკვილაძე — განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)

ვ. ბექაშვილი — შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილების უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე)

ზ. დობორჯგინიძე — შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

მ. ღარიბაშვილი — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

კ. სუჯაშვილი — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი

რ. კილაძე — პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სექტორის გამგე

მ. გოგიტაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ. სტურუა — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი

3. დამტკიცდეს თათბირ-სემინარის მომზადებისა და ჩატარების გეგმა შემდეგი ცვლილებით (თან ერთვის).

4. მოწონებულ იქნეს თათბირ-სემინარზე განსახილველი მოხსენებების საორიენტაციო თემატიკა.

5. თათბირ-სემინარის მომწყობმა კომისიამ:

5. 1. დროულად შეარჩიოს მომხსენებლები თემატიკის მიხედვით და დაუგზავნოს მათ შერჩეული თემატიკა.

5. 2. აღნიშნულ ვადებში მოაგვაროს თათბირ-სემინარის ჩატარების გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულება.

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. კ. არჩვაძე) თათბირ-სემინარის ჩასატარებლად გამოყოს საჭირო თანხა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

კოლეგიის თავმჯდომარე.
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებების შუქზე მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე რესპუბლიკური თათბირ-სემინარის მომზადებისა და ჩატარების გ ე გ მ ა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების დრო	პასუხისმებელი შესრულებაზე	შ ე ნ ი შ ვ ნ ა
1	2	3	4	5
1	საორგანიზაციო კომისიის წევრებზე ფუნქციების განაწილება	1986 წლის 15 ოქტომბერი	ვ. ბექაშვილი	
2	თათბირ-სემინარზე განსახილველი მოხსენებების სარეკომენდაციო თემატიკის მიხედვით მომხსენებელთა შერჩევა	1986 წლის 15 ოქტომბერი	ვ. ბექაშვილი, ზ. დობორჯგინიძე	
3	მომხსენებლებთან მუშაობის ორგანიზაცია	1986 წლის 20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე	ვ. ბექაშვილი, გ. ლაფაჩი	
4	ძირითადი მოხსენებისათვის მასალების მომზადების ორგანიზაცია	1986 წლის 15 ნოემბრამდე	ზ. დობორჯგინიძე	
5	მოსაწვევი ბარათების, პროგრამებისა და სხვა მასალების მომზადების ორგანიზაცია	1986 წლის 20 ნოემბერი	ვ. ბექაშვილი, გ. ლაფაჩი, გ. თედიაშვილი	
6	თათბირ-სემინარისათვის დარბაზის შერჩევა და მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნის ორგანიზაცია	1986 წლის 1 დეკემბერი	ვ. ბექაშვილი, ზ. დობორჯგინიძე	

1	2	3	4	5
7	თათბირ-სემინარზე ტელევიზიის, პრესისა და სხვა მუშაკთა მოწვევის ორგანიზაცია	1986 წლის 1 დეკემბერი	ვ. ბექაშვილი, გ. ლაფაჩი	
8	თათბირ-სემინარის საქმიანი პრეზიდიუმის შემადგენლობის განსაზღვრა	1986 წლის 5 დეკემბერი	ნ. ჩიკვილაძე, ვ. ბექაშვილი	
9	მომხსენებელთა წინადადებებიდან და შენიშვნებიდან გამომდინარე თათბირ-სემინარის მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავება	1986 წლის 20 ნოემბერი	რ. კილაძე ვ. ტატიშვილი	
10	თათბირ-სემინარის მონაწილეთა გამოცხადების ორგანიზაცია	1986 წლის 1 დეკემბერი	ვ. ბექაშვილი	
11	თათბირ-სემინარის მონაწილეთა რეგისტრაცია	1986 წლის 16 დეკემბერი	გ. ლაფაჩი	
12	თათბირ-სემინარის მონაწილეთა გამგზავრების ორგანიზაცია	1986 წლის 16 დეკემბერი	გ. ლაფაჩი	
13	თათბირ-სემინარის ჩატარების ორგანიზაცია	1986 წლის 16 დეკემბერი	ვ. ბექაშვილი, ზ. დობორჯგინიძე	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

РЕШЕНИЕ

КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об организации экспонирования учреждений народного образования республики на Выставках Достижений Народного Хозяйства СССР и ГССР и упорядочении системы обобщения передового опыта педагогических коллективов и отдельных работников

21 августа 1986 года

Коллегия отмечает, что за последние годы проделана определенная работа по организации экспонирования учреждений народного образования на ВДНХ СССР и ВДНХ ГССР, участия школ, дошкольных и внешкольных учреждений во всех выставочных и учебных мероприятиях, проводимых ВДНХ СССР и ВДНХ ГССР для показа достижений педагогического опыта и научно-исследовательских работ по дальнейшему совершенствованию учебно-воспитательного процесса.

С 1982 по 1986 год педагогические коллективы и отдельные учителя, успешно решающие проблемы повышения эффективности преподавания и воспитания, награждены 7 золотыми, 10 серебряными, 36 бронзовыми медалями ВДНХ СССР. Многим работникам школ, дошкольных и внешкольных учреждений, отделов народного образования и органов методической службы вручены свидетельства «Участник ВДНХ СССР», дипломы и грамоты ВДНХ ГССР, школьникам — медали «Юный участник ВДНХ СССР».

С целью пропаганды достижений передовых учреждений системы народного образования республики — экспонатов ВДНХ СССР совместно с ВДНХ ГССР была организована Республиканская конференция «Опыт лучших — всем» и одноименная выставка экспонатов, получивших высокую оценку Главвыставкома ВДНХ СССР.

Изданы брошюры «Урок продолжается, радость даря» (о пресс-центре средней школы № 2 поселка Чакви Кобулетского района Аджарской АССР) , «Времен связующая нить» (о патриотическом и интернациональном воспитании учащихся на базе школьного комплекса: кабинет литературы, салон русско-грузинских литературных взаимосвязей средней школы № 127 г. Тбилиси), «Кабинет изо средней школы № 56 г. Тбилиси», «Лаборатория начинающего учителя» Тбилисского института

усовершенствования учителей и т. д. На местах проводились совещания-семинары по ознакомлению педагогической общественности республики с деятельностью школ-экспонентов ВДНХ, широко освещался опыт школ-экспонентов по радио, телевидению, в республиканской прессе.

Вместе с тем, коллегия отмечает, что деятельность Министерства просвещения по организации экспонирования учреждений народного образования республики на ВДНХ ГССР и СССР не стала еще завершающим звеном системы обобщения, распространения и внедрения передового опыта из-за несовершенства в целом в республике этой системы. В школах все еще не стало одной из форм совершенствования работы педагогического коллектива изучение опыта передовиков, рассмотрение возможности внесения этого опыта в деятельность других преподавателей.

Методические кабинеты отделов народного образования не уделяют должного внимания задачам выявления, обобщения и распространения передового опыта, не руководят развитием творческих поисков учителей по выбору и применению оптимальных форм, методов и средств обучения и воспитания, во многих методических кабинетах нет описания опыта работы лучших учителей района, картотек передового опыта. Методкабинеты не доводят достижения учителей своего района до институтов усовершенствования учителей. В свою очередь институты усовершенствования учителей не проявляют должной оперативности по обобщению лучшего опыта актуальных задач, стоящих перед школой.

В деле выявления, обобщения и распространения передового опыта нет целенаправленности, системности.

За последние годы на коллегии Минпроса обсуждался опыт только одного участника ВДНХ СССР — Заслуженного учителя школы Грузинской ССР, преподавателя математики Гондаури Д.

Научно-исследовательский институт педагогических наук им. Я. Гогебашвили и Центральный институт усовершенствования учителей не ведут планомерную работу по выявлению, изучению и распространению передового опыта.

В целях улучшения работы органов народного образования по обобщению и пропаганде передового опыта через показ его на ВДНХ СССР и ВДНХ ГССР, упорядочения системы этой работы коллегия р е ш а е т:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. Управлению школ (тов. Э. Курцикидзе) совместно с соответствющими подразделениями Министерства, НИИ педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Ш. Амонашвили) и ЦИУУ (тов. М. Дарчия) к 1 января 1987 г.:

1.1. разработать предложения по совершенствованию системы обобщения передового опыта для показа на ВДНХ ГССР и ВДНХ СССР.

1.2 Создать на ВДНХ ГССР постоянно действующую экспозицию «Народное образование Грузии», систематически пополнять ее новыми экспонатами, лучшие из которых рекомендовать для показа на ВДНХ СССР.

1.3. Ежегодно проводить Республиканскую конференцию по пропаганде передового опыта школ-экспонентов ВДНХ СССР «Опыт лучших — всем».

2. Для руководства работой по организации участия республики на ВДНХ СССР 1986—1987 года утвердить головными организациями:

— Управление воспитательной работы (тов. Э. Заркуа) по выставке «Совместная работа школы, семьи и общественности по коммунистическому воспитанию подрастающего поколения»;

— Управление дошкольного воспитания (тов. Ахобадзе Н.) по выставке «Организация обучения детей русскому языку в национальных дошкольных учреждениях»;

— Управление начальной военной подготовки (тов. Вашакидзе А.), Управление физического воспитания и спорта (тов. Мнатобишвили М.) по специальной экспозиции «Подготовка защитников Родины средствами игры «Орленок»;

— Управление воспитательной работы (тов. Заркуа Э.), Отдел трудового обучения и профессиональной подготовки (тов. Бекашвили В.) по всем экспозициям и смотрам в павильоне «Юные натуралисты и техники».

3. Сектору науки и прессы (тов. Чхенкели Г.) усилить пропаганду передового опыта и достижений педагогической науки, организовывать по материалам выставки информационные и проблемные публикации.

4. Планово-финансовому управлению (тов. Арчвадзе А.) разработать проект финансирования экспонатуры и представить на рассмотрение коллегии.

5. Центральному институту усовершенствования учителей (тов. Дарчия М.) при разработке тематики обобщения передо-

вого опыта, НИИ педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Амонашвили Ш.) при составлении тематики научно-исследовательских работ учитывать актуальные проблемы, стоящие перед школой на данном этапе, вопросы, предусмотренные тематическими планами ВДНХ СССР, представлять достижения педагогической практики и научно-исследовательских работ для рассмотрения на коллегии Минпроса ГССР, активнее осуществлять методическое руководство деятельностью рай(гор) методкабинетов, оказывать им систематическую действенную помощь в выявлении, обобщении и распространении передового педагогического опыта; с целью пропаганды и распространения передового опыта, показа его на ВДНХ ГССР и ВДНХ СССР проводить выставки, творческие отчеты, издания материалов из опыта работы, научно-практические конференции, продолжать работу по созданию картотеки передового опыта.

6. Органам методической службы на местах осуществлять действенную помощь и руководство развитием творческих поисков учителей по выбору и применению форм, методов и средств обучения и воспитания, активнее выявлять ценное в опыте работы преподавателей, добиваться того, чтобы педагогические коллективы школ изучали опыт передовиков школы, республики, страны и по возможности внедряли его в свою практику, всячески поощрять и добиваться творческого роста лучших учителей.

7. Контроль за исполнением данного решения возложить на Первого Заместителя Министра (тов. Гагуа Л.).

Председатель коллегии,
Министр Н. Ш. Васадзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 31 დეკემბრის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში 1986—1987 სასწავლო წლის მისაღები გამოცდები ჩატარდა მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით. კერძოდ, არასრულყოფილი იყო სკოლა-ინტერნატის დირექტორის ბრძანება გამოცდების ჩატარების შესახებ. ბრძანების თანახმად, მისაღები გამოცდები ნაცვლად სპორტის 9 სახეობისა, უნდა ჩატარებულიყო სპორტის 7 სახეობაში 22 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. აღმოჩნდა, რომ შემოწმების დღისათვის მისაღები გამოცდები სპორტის 3 სახეობაში საერთოდ არ იყო დაწყებული (ფარიკაობა, ნიჩბოსნობა, ცურვა). არ იყო დამტკიცებული გამოცდების ჩატარების განრიგი, რის გამოც არ იყო ცნობილი მათი ჩატარების დრო და ადგილი. მისაღებ გამოცდებზე მასიურად იქნენ დაშვებული ის ახალგაზრდები, რომლებსაც გამოცდის დღისათვის დირექტორის სახელზე განცხადება არ ჰქონდათ შემოტანილი (მაგალითად, ფეხბურთში განცხადება შემოიტანა 7 მოსწავლემ, გამოცდა გაიარა 58-მა, მძლეოსნობაში განცხადება შემოიტანა 8-მ. გამოიცადა 12, თავისუფალ ჭიდაობაში იყო 15 განცხადება, გამოიცადა 30 და ა. შ.).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ შემოწმების პერიოდში გამოცდები სპორტის არც ერთ სახეში არ იყო დამთავრებული და სკოლის დირექციის აზრით ეს პროცესი უნდა გაგრძელებულიყო ინტერნატში სწავლის მსურველთა ნაკადის შეწყვეტამდე, რაც არ გამორიცხავდა ამ გზით უკეთესს კანდიდატურათა შერჩევის საშუალებას. მისაღები გამოცდებისადმი სკოლის ხელმძღვანელობის ამგვარმა დამოკიდებულებამ ზოგადი წესების დარღვევა გამოიწვია. შემოწმების დღისათვის ადგილზე სრულყოფილი სახით არ იყო გაფორმებული საგამოცდო ოქმები იმ სახეობების მიხედვით, რომლებშიც გამოცდები ჩატარდა. მისაღები გამოცდების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები და შეცდომები განპირობებულია იმითაც, რომ ინტერნატს დღემდე არ აქვს საქმიანი, სისტემატური კონტაქტები განათლების განყოფილებებთან, სასპორტო სკოლებთან. მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება კონტინგენტის შერჩევის მიზნით გაწეული სასელექციო მუშაობაც, რომელიც მთელი წლის განმავლობაში სახალხო განათლების ორგანოებთან და სასპორტო სკოლებთან ერთობლივად უნდა მიმდინარეობდეს.

ზემოაღნიშნულმა ფაქტებმა, ბუნებრივია მისაღები გამოცდების არაორგანიზებულად ჩატარებისა და ზოგიერთ სახეობაში მათი ჩაშლის ფაქტებიც განაპირობეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა-ინტერნატის დირექციამ ბრძანება მისაღები გამოცდების ჩატარების შესახებ თანდართული მიმართვით, განათლების სამინისტროში ძველი რიცხვით წარმოადგინა, მაშინ, როცა ამავე ბრძანების საფუძველზე ინტერნატში მისაღები გამოცდები ფაქტობრივად სამინისტროსთან შეუთანხმებლად მიმდინარეობდა.

სკოლა-ინტერნატში სათანადო დონეზე არ დგას შრომითი დისციპლინის საკითხი. თანამშრომლები არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. ხშირია სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევები.

სკოლა-ინტერნატში არ არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები. შენობა-ნაგებობათა მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. დღეისათვის სასწავლო კორპუსის სახურავი მთლიანად დაზიანებულია, რამაც მესამე სართულის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია. მოუწესრიგებელია სველი წერტილები და საკლასო ოთახების კარები, სასკოლო ავეჯის გარკვეული ნაწილი განადგურებულია. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა შექმნილი საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც ექსპლოატაციისათვის უვარგისია. შეწყვეტილია ფეხბურთის მოედნებისა და მძლეოსნობის სექტორების მშენებლობა, რასაც ჩაშლამდე მიყავს სასწავლო-საწვრთნო პროცესი.

სერიოზული ნაკლოვანებები აღმოჩნდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარებაში. კერძოდ, ბაზალეთის ტბაზე ნიჩბოსნობაში, თიანეთში ფეხბურთსა და ძიუ-დოში, ბორჯომში — კლასიკურ ჭიდაობაში და სხვა. სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები შეწყვეტილ იქნა ვადაზე ერთი კვირით ადრე სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1986 წლის 21 ივლისის № 204 ბრძანებით სკოლა-ინტერნატიდან უპერსპექტივობის გამო დათხოვნილ იქნა 65 მოსწავლე. ამავე ბრძანებით მოსწავლე სპორტსმენთა ინტერნატიდან დათხოვნა შეფასებულია როგორც დაკომპლექტების, სამედიცინო დისპანსერიზაციის, წვრთნისა და აღმზრდელობით პროცესში დაშვებული სერიოზული შეცდომების შედეგი.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატის მუშაობა მოსწავლეთა კონტინგენტის დაკომპლექტებისა და მისაღები გამოცდების ჩატარების საქმეში შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად და მისაღები გამოცდების შედეგები გაუქმდეს.

2. სკოლა-ინტერნატის დირექტორი ამხ. ო. გაგუა მიმდინარე წლის 8 სექტემბრიდან განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან შრომის კანონმდებლობის 35-ე მუხლის § 1-ის თანახმად. საკითხი მისი პარტიული პასუხისმგებლობის შესახებ გადაეცეს საქართველოს კპ თბილისის გლდანის რაიკომს.

3. ინტერნატის ახალი ხელმძღვანელობის შერჩევამდე, პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით, აღნიშნულ ინტერნატში მივლინებულ იქნენ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი ამხ. მ. მნათობიშვილი, სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ზ. ლომსიანიძე და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ს. დილდაროვა.

4. დირექტორის მოვალეობის შესრულება დროებით, ანაზღაურების გარეშე, დაევალოს ამხ. მ. მნათობიშვილს — ძირითად სამსახურთან შეთავსებით.

5. დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. გ. თალაკვაძეს ათი დღის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს კპ გლდანის რაიკომთან და საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული არსებული ვითარების მოწესრიგების ღონისძიებათა გეგმა.

6. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების უფროსს, კონტროლიორ-რევიზორს, ამხ. გ. გეწაძეს, კონტროლიორ-რევიზორს, ამხ. ი. ითიურიძეს, განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლის მეთოდისტს ამხ. ვ. ლაშაურს, რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს ამხ. მ. გვენეტაძეს, თბილისის კალინინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების უფროსს ეკონომისტს ამხ. უ. ოქროპირიძეს დაევალოთ სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩატარება მიმდინარე წლის 19 სექტემბრიდან 19 ოქტომბრამდე.

7. დაევალოს თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს:

7. 1. მისაღები გამოცდების გაუქმებისა და საცხოვრებელი კორპუსის მწყობრიდან გამოსვლის გამო, მოსწავლეთა კონტინგენტის შეკვეცასთან დაკავშირებით უზრუნველყოს გამონთავისუფლებული პედაგოგებისა და თანამშრომლების შრომითი დასაქმება.

8. დაევალოს განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს:

8. 1. მიმდინარე წლის ბოლომდე გამონახოს სათანადო სახსრები სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსში სახურავის და საცხოვრებელი კორპუსის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

8. 2. გაითვალისწინოს 1987 წელს ინტერნატის შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტი.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვარლის რაიონის მე-3, საჩხერის რაიონის სოფლების სავანისა და ქორეთის საშუალო სკოლების მოსწავლეთა კვების პროდუქტებით მოწამვლის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1986 წლის 5 სექტემბერს ყვარლის რაიონის მე-3 საშუალო სკოლაში (ამხ. ლ. ვარადაშვილი) მოხდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებისა და მასწავლებლების კვების პროდუქტებით მოწამვლა, ხოლო 19 სექტემბერს ანალოგიურ ფაქტს ადგილი ჰქონდა საჩხერის რაიონის სოფლების სავანესა და ქორეთის სკოლებში.

მოწამვლის მიზეზი გახდა მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბერს ყვარლის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების საწყობიდან გამოტანილი გაყინული ხორცი და 19 სექტემბერს საჩხერის საზკვების კომბინატში დამზადებული ხილფაფიანი ღვეზელი.

შემოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნული რაიონების სკოლები, მათ შორის ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის სასადილო (რომელიც პროექტის გარეშეა აგებული 32 დასაჯდომი ადგილით), სოფლების სავანისა და ქორეთის სკოლების კვების ბლოკები ვერ აკმაყოფილებენ საჭირო სანიტარიულ-ტექნიკურ მოთხოვნებს. აღნიშნული სკოლების სასადილოებს არ გააჩნია დამხმარე სათავსოები, გამდინარე ცივი და ცხელი წყალი, ერთ ოთახში ხდება პროდუქტების დამუშავება, კერძების მომზადება-შენახვა და ჭურჭილს რეცხვა, რაც არ გამორიცხავს და, უფრო მეტიც, ხელს უწყობს ანალოგიურ ფაქტებს.

მოსწავლეთა კვების პროდუქტებით მოწამვლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რაიონის სასწავლო დაწესებულებებს პროდუქტების გადატანა უხდებათ საზკვების საწყობებიდან უშუალოდ მზარეულების მიერ შემთხვევითი ტრანსპორტით, რაც პროდუქტების გაბინძურებასა და მათი ხარისხის დაქვეითებას იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მოწამვლის პერიოდისათვის ყვარლის რაიონის საზოგადოებრივი კვების, მათ შორის სასწავლო დაწესებულებათა კვების, ობიექტების მუშაკებს სანიტარიული შემოწმებაც კი არ ჰქონდათ გავლილი.

ყვარლისა და საჩხერის რაიონების სხვა სასწავლო დაწესებულებებში კვების ობიექტების სუსტი სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა იმის მიზეზიც არის, რომ სახალხო განათლების განყოფილებებმა (გამგეები ზ. იოსებაშვილი, შ. აბჟანოაძე) და სკოლის დირექტორებმა არ განახორციელეს სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების საქმეში. უფრო მეტიც,

ყურად არ იღეს და არ შეასრულეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური დავალება ახალი სასწავლო წლისათვის კვების ობიექტების მზადყოფნის უზრუნველყოფის შესახებ. მათ არ დაამყარეს საქმიანი კონტაქტები შესაბამის ორგანიზაციებთან, ვერ გამოიჩინეს პრინციპულობა და მომთხოვნელობა საზკვებისა და სხვა დაწესებულებების მიმართ მოსწავლეთა კვების პროდუქტების მომარაგების, ტრანსპორტირებისა და სასადილოს სანიტარიულ-ტექნიკური აღჭურვილობის ორგანიზაციის საქმეში, რამაც მოსწავლეთა და მასწავლებელთა კვების პროდუქტებით მოწამვლა გამოიწვია.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ყვარლისა და საჩხერის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები ზ. იოსებაშვილი, გ. აბჟანდაძე, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს რაიონის სკოლებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია და არ შეასრულეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური დავალება, რამაც მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოწამვლა განაპირობა, განთავისუფლებულ იქნან დაკავებულ თანამდებობიდან. დეპუტატის სტატუსის თანახმად ეთხოვოს თანხმობა ყვარლისა და საჩხერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

1. 2. მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში უხეში დარღვევებისათვის, რამაც მოსწავლეთა მოწამვლას შეუწყო ხელი, ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ვარადაშვილი განთავისუფლებულ იქნეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

2. 1. მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით საკითხს იძიებს ყვარლისა და საჩხერის რაიონების პროკურატურა.

2. 2. იმის გამო, რომ ყვარლის რაიონის სასწავლო დაწესებულებათა სასადილოებში არ არის ცხელი კერძების მომზადებისათვის საჭირო სანიტარიულ-ტექნიკური პირობები, დროებით ყველა სკოლას აეკრძალა სადილების მომზადება ადგილებზე.

2. 3. საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის ბიუროს დადგენილებით რაიონის სკოლების სასადილოების ცხელი კერძებით მოსამარაგებლად უმოკლეს ვადაში შეიქმნება საბაზო სასადილოები.

3. 1. ყვარლისა და საჩხერის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, შესაბამის ორგანოებთან ერთად, ოპერატიულად შეიმუშაონ ღონისძიებანი ბავშვთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნისათვის.

3. 2. განიხილონ საჩხერის რაიონის სოფლების სავანისა და ქორეთის საშუალო სკოლების დირექტორების თანამდებობაზე დატოვების მიზანშეუწონლობის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. 3. მიღებული ზომების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1-ლი ნოემბრისათვის.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

4. 1. გადამჭრელი ზომები მიიღონ ბავშვთა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესებისა და პირობების სრულყოფისათვის, მეტი პრინციპულობა გამოიჩინონ სავაჭრო ორგანიზაციებისადმი და გაფრთხილებულ იქნენ, რომ პერსონალურად აგებენ პასუხს ბავშვთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში დაშვებული დარღვევებისათვის.

4. 2. სახალხო განათლების სისტემის სასწავლო დაწესებულებებში მომხდარი თითოეული საგანგებო შემთხვევა დაუყოვნებლივ აცნობონ განათლების სამინისტროს.

5. კოლეგიის ეს გადაწყვეტილება დაეგზავნოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს სახალხო განათლებისა და სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განსახილველად.

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას და საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს უფროსს ამხ. თ. ტატიშვილს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის საბავშვო სახლების და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის მიზნით დამატებით ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ ზემდგომმა ორგანოებმა 1986 წლის ივლისში განიხილეს საკითხი „მე-12 ხუთწლედში რესპუბლიკის საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის მიზნით დამატებით ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ და მიიღეს შესაბამისი დადგენილება, რომლის შესრულების მიზნით კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

— განუხრელად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების ზემოაღნიშნული დადგენილებით;

— წლის ბოლომდე განიხილონ იგი სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები და დასახონ მათი განხორციელების გზები;

— განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, სწავლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული ტიპის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ბავშვთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ქმედითად გამოიყენონ ამ საქმეში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1985 წლის 30 აპრილის № 333 დადგენილებით დამტკიცებული შეფი ორგანიზაციები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინფორმაცია ამ მხრივ გატარებული ღონისძიებების შესახებ სამინისტროს წარმოუდგინონ 1986 წლის 30 დეკემბრამდე.

2. საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

— მიიღონ საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების ზემოაღნიშნული დადგენილება სახელმძღვანელოდ და განუხრელად შესასრულებლად, განიხილონ იგი პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, დასახონ კონკრეტული ღონისძიებები და ყოველდღიური საქმიანობით უზრუნველყონ მათი მაღალხარისხოვნად შესრულება;

— თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მიუდგნენ აღსაზრდელთა სწავლებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეს, აამაღლონ პედაგოგ-აღმზრდელთა პერსონალური პასუხისმგებლობა. გამუდმებით იზრუნონ აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-კულტურული მომსახურების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მტკიცედ დაიცვან სანიტარიული ჰიგიენის ნორმები;

— დროულად წარმოუდგინონ მომარაგების მთავარ სამმართველოს განაცხადები სამაცივრო და სავაჭრო-ტექნოლოგიური მოწყობილობების, ავეჯისა და სხვა საჭირო ინვენტარის გამოსაყოფად.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. გ. ვარდოსანიძე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საბავშვო სახლების და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე, კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერებით უზრუნველყოს საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულება.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად ჩატარებულ ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

5. გაზეთმა „სახალხო განათლება" (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრება" (ამხ. რ. ძერია) პერიოდულად გამოაქვეყნონ წერილები აღნიშნული ტიპის ინტერნატულ დაწესებულებათა მუშაობაზე, განაზოგადონ მოწინავე პედაგოგ-აღმზრდელთა საქმიანობა.

6. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი) გამოცდილების განზოგადების მიზნით შეიმუშაოს საბავშვო სახლებსა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ სამეცნიერო რეკომენდაციები, წინადადებანი და მითითებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დირექტორებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსს, ხოლო კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ლ. გაგუას.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი 1

საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების შესაბამისი დადგენილების შესასრულებლად გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა

№	შესასრულებელი საკითხები	შესრულების ვადები	პასუხისმგებელი შესრულებაზე	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მშენებლობა დ ქსელის შემდგომი რაციონალიზაცია (ბათუმის საბავშვო სახლისათვის სასწავლო კორპუსის მიშენება, თეთრი წყაროს, მარტყოფის, თელავის სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსის რეკონსტრუქცია, ქურთის საბავშვო სახლში სკოლამდელთა ჯგუფის გახსნა, კოჯრის სკოლა-ინტერნატისა და № 4 საბავშვო სახლის კონტინგენტის გაერთიანების საკითხის შესწავლა).	1986—1990 წ. წ. კონტროლის დაწესება, ყოველწლიური ანგარიშის მოსმენა კოლეგიის სხდომაზე	კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო	
2	სასწავლო-საცდელი და დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის უზრუნველყოფა (ყაზბეგის, კოჯრის № 4 საბავშვო სახლი, მარტყოფის სკოლა-ინტერნატი).	1986 წ.	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, შესაბამისი სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტები	

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
3	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა თანამედროვე ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ინვენტარის ახალი ნიმუშებით უზრუნველყოფა (შესაბამის უწყებებში განაცხადებისა და შეკვეთების წარდგენა).	1986—1990 წ. წ. 1987 წ. III კვარტალი საკითხის შესწავლა სამმართველოში განსახილველად	საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო; საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო	
4	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელებთან სამედიცინო მომსახურების ღონისძიებათა გატარება (ბათუმის, მახინჯაურის, ყაზბეგის, ქურთის, სურამის საბავშვო სახლები, თელავის, მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატები).	1987 წ. და 1989 წ. საკითხის კოლეგიის სხდომაზე განხილვა	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო; საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	
5	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა შრომითი სწავლების ახალი ფორმების დანერგვა (ლენინგორის, ქურთის, სურამის, თბილისის № 1 საბავშვო სახლები, მარტყოფის, თელავის სკოლა-ინტერნატები)	1987—1988 წ. წ. საკითხის სამმართველოში განხილვა	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, შრომითი სწავლებისა და პროფესიული მომზადების განყოფილება	

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
6	საქართველოს სსრ ზემდგომი ორგანოების ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მაგარი ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხის საბოლოოდ მოგვარება შესაბამის უწყებებში ავიჯზე დაკონკრეტებული განაცხადებით დაკვეთის გზით.	1986—1990 წ. წ. 1987 წლის ბოლოს ინფორმაციის მოსმენა ჩატარებული მუშაობის შესახებ	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო; მომარაგების მთავარი სამმართველო; საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	
7	რესპუბლიკის შემოქმედებით ორგანიზაციებთან (მწერალთა კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი, მხატვართა კავშირი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი) ერთიანი ღონისძიებების დასახვა მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის მიზნით, ღონისძიების „შემოქმედი ახალგაზრდობა — საბავშვო სახლებს“ მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.	1986—1990 წ. წ.	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო	
8	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარება შესაბამის სკოლებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარებით.	1986—1990 წ. წ.	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, სკოლების სამმართველო, რესპუბლიკური **სასწავლო-მეთოდური** კაბინეტის სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების განყოფილება	

ეროვნული ბიბლიოთეკა

1	2	3	4	5
9	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულებთან მუდმივი ზედამხედველობისა და კურატორობის განხორციელება მათი შემდგომი შრომითი მოწყობისა და საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგების მიზნით.	1986—1990 წ. წ.	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, შესაბამისი სახალხო დეპუტატთა აღმასრულებელი კომიტეტები	
10	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების კურსდამთავრებულ აღსაზრდელთა სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების ორგანიზაცია	1986—1990 წ. წ.	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, სკოლა-ინტერნატების დირექტორები	
11	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1987—1990 წლებში საბავშვო სახლების, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების საჭიროებისათვის დაგეგმილი ავტოტრანსპორტის მიღებისა და განაწილების დროული ორგანიზაცია (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების დანართის მიხედვით).	1987—1900 წ. წ. ყოველწლიურად ანგარიშის მოსმენა	მომარაგების მთავარი სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო	
12	საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის და საქაგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმისადმი სისტემატური კონტროლის დაწესება.	1986—1990 წ. წ. 1987 წლის I კვარტალი. საკითხის კოლეგიისათვის მომზადება	სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო, მომარაგების მთავარი სამმართველო	

1	2	3	4	5
13	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების აღმზრდელ-პედაგოგთა და ხელმძღვანელ მუშაკთა კადრების შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სრულყოფა.	1986—1990 წ. წ. 1986 წლისათვის საკითხის კოლეგიისათვის მომზადება	კადრების სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო	
14	საბავშვო სახლებისა და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების დაფინანსებაზე კონტროლის დაწესება, იმ ნორმატივების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის იანვრის დადგენილებით (საკითხის შემოწმება და კოლეიგაზე მოსმენა რამდენიმე საბავშვო სახლის მაგალითზე).	1986—1990 წ. წ. 1987 წლის ბოლოს საკითხის კოლეგიაზე მოსმენა	საგეგმო-საფინანსო სამმართველო, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველო	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება

ქ. გორის განათლების განყოფილების გამგის ნ. კახნიაშვილის მიერ საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ შემოსული განცხადებების შემოწმებით დადგენილ იქნა, რომ ქ. გორის მე-5 საშუალო სკოლაში 1984 წლის 21 აგვისტოს №5 ბრძანების საფუძველზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა ზ. კულიჩიშვილი, რომელიც 1973 წლიდან ქ. გორის საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორად მუშაობდა, 1975 წლიდან იყო სახინკლე № 2-ის და სამწვადე № 3-ის გამგე. 1976 წლიდან ზ. კულიჩაშვილი გადაყვანილ იქნა № 24 სასადილოს გამგედ, შემდგომ — წყალზე მაშველი საზოგადოების უფროსად და ფაქტობრივად გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1971 წ.) 13 წელი მოწყვეტილი იყო პედაგოგიურ მუშაობას.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ზ. კულიჩიშვილმა სკოლაში დანიშვნამდე ჩაიდინა ამორალური საქციელიც, რაც მის მიერ საზღვარგარეთ ვალუტის გატანის მცდელობაში გამოიხატა, რისთვისაც მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი განიხილა გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

აღნიშნული პიროვნების სკოლაში დანიშვნის არაკანონიერებაზე ამხ. ნ. კახნიაშვილს ჯერ კიდევ 1986 წლის დასაწყისი კატეგორიულად მიუთითა განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ, ხოლო აპრილში — ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა. მიუხედავად ამისა, ამხ. ნ. კახნიაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გაეჭიანურებინა ზ. კულიჩიშვილის, როგორც სკოლაში მუშაობისათვის შეუფერებელი პიროვნების სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი, რის გამოც აღნიშნული პიროვნება ქ. გორის მე-5 სკოლაში დღესაც აგრძელებს მუშაობას.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის, კადრების შერჩევაში უპრინციპო და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვს ქ. გორის განათლების განყოფილების გამგე ნ. კახნიაშვილი განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან. დეპუტატის სტატუსის თანახმად ეთხოვოს თანხმობა ქ. გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

2. დაევალოს ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილებას, მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე ჩაატაროს მასწავლებელ ზ. კუჭავაძის შვილის რიგგარეშე ატესტაცია და შედეგი აცნობოს განათლების სამინისტროს.

3. ეთხოვოს საქართველოს კომპარტიის გორის ქალაქკომს განიხილოს პარტიის წევრის, ამხ. ნ. კახნიაშვილის, პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება

მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1986 წლის აგვისტოს კონფერენციებისა და რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში 1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1986 წლის აგვისტოს კონფერენციები, ძირითადად, მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა. ხელმძღვანელ მუშაკთა მოხსენებებში თანმიმდევრულად აღინიშნა რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების ძირეულ რგოლებში სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად გადადგმული ნაბიჯები, დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარდა ქ. ქ. ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, ტყიბულში, ქ. თბილისის 1-ლი მაისის, გორის, სამტრედიის, მახარაძის, სიღნაღის, საგარეჯოს, ამბროლაურის და სხვა რაიონებში, სადაც პარტიული მომთხოვნელობით გააანალიზდა, თუ როგორ ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებანი სკოლის რეფორმის შესახებ.

კონფერენციებზე იგრძნობოდა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო. გამოსული ამხანაგები გულახდილად საუბრობდნენ სკოლის წინაშე მდგარ ამოცანებზე სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, სასკოლო რეფორმის ძირითადი მიმართულებების მოთხოვნათა შესაბამისად. კონფერენციებზე მკაცრი მსჯელობის საგანი გახდა სასკოლო მშენებლობა, სწავლების ხარისხის ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საღამოს სკოლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლების, ფორმალიზმის, პროცენტომანიის, ლიბერალიზმის ფაქტების აღმოფხვრის საკითხებს, მასწავლებლის პასუხისმგებლობის ამაღლებას ახალგაზრდა მშრომელის აღსაზრდელად.

პლენარულ სხდომებსა და სექციურ მეცადინეობებზე განხილული იქნა კომპლექსური ღონისძიებანი სკოლის რეფორმის რეალიზაციისათვის, აგრეთვე პირველი სექტემბრის ცოდნის დღესასწაულისა და მშვიდობის გაკვეთილების ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგინდა, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში 1986—1987 სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო.

ყველა რაიონში მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა მშვიდობის გაკვეთილები და ცოდნის დღესასწაული — პირველი სექტემბერი. ბავშვებს, ახალგაზრდობას, პედაგოგებს ცოდნის დღესასწაული მიულოცეს კომუნისტური პარტიისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებმა, წარმოების მოწინავეებმა, მუშებმა, კოლმეურნეებმა. ყველა სკოლაში მშვიდობის და შრომის გაკვეთილებით დასაბამი მიეცა ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

აღინიშნა, რომ სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად მიმდინარე სასწავლო წელს მნიშვნელოვნად განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა,

1-ლი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში ექსპლოატაციაში შევიდა 42 საშუალო სკოლის შენობა 21000 მოსწავლე-ადგილზე, 11 სკოლამდელი დაწესებულება 1670 ბავშვ-ადგილზე, 2 სკოლისგარეშე დაწესებულება და 1 სასკოლო ინტერნატი 40 მოსწავლე ადგილზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო კაპდაბანდების სახსრებით სხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ აშენდა 3 სკოლა 2252 მოსწავლე-ადგილზე და 15 სკოლამდელი დაწესებულება 1462 ბავშვ-ადგილზე.

დიდი ყურადღება მიექცა სასწავლო დაწესებულებების მიმდინარე და კაპიტალურ რემონტს. სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯა 5 მლნ 742 ათასი მანეთი. ამასთანავე თანხის დიდი ნაწილი დაიხარჯა შეფი ორგანიზაციების მიერ.

ამ მხრივ აღსანიშნავია სამტრედიის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

დიდი მუშაობა ჩატარდა დაწყებითი სამხედრო სწავლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ახალი 1986—1987 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკაში განახლდა და ახალი პროგრამის შესაბამისად მოეწყო 1446 დაწყებითი სამხედრო მომზადების კაბინეტი. გაკეთდა: 644 სასროლი ტირი, 608— სამხედრო-ტექნიკური და 1405 სამხედრო მომზადების მოედანი, 1281 „სამხედრო ქალაქი“. 1625 მოვალეობის შესასრულებელი, 1563 საწმენდი ადგილი.

დაწყებითი სამხედრო მომზადების სრული კომპლექსი აშენდა რესპუბლიკის 418 სკოლაში.

ქ. ქუთაისში პირველად გაიხსნა სამხედრო-სპორტული კომპლექსი, რომელიც გაკეთებულია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკაში ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამ მხრივ აღსანიშნავია სამტრედიის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების ყურადღება სპეციალური სკოლა-ინტერნატისა და ეწერის ბავშვთა სახლის სასწავლო-მატერიალური ბაზის მოწყობისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

გაუმჯობესდა ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის საქმე. მარტო მიმდინარე წელს მათ გამოეყოთ 10 ავტომანქანა, მათგან 3 ავტობუსი.

დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 22 ივნისის № 419 დადგენილების „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასებში მიღების შესახებ“ შესასრულებლად.

1-ლ კლასებში ექვსწლიანთა ჩარიცხვა მოხდა დადგენილი წესის შესაბამისად, მშობელთა სურვილის გათვალისწინებით და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ ღრმა სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების შესახებ გაცემული ცნობის საფუძველზე.

რესპუბლიკის რაიონებში ექვსწლიანთა 1-ლი კლასებისათვის, ძირითადად, შეირჩა საუკეთესო ნათელი ოთახები მეცადინეობისათვის, გართობისა და ძილისათვის. შეძენილი იქნა 2,0 ათასი ცალი ახალი მერხი, 3,0 ათასი ცალი საბავშვო საწოლი, თეთრეული და ლოგინის სხვა მოწყობილობა. მოწესრიგდა მათი ცხელი კერძებით უზრუნველყოფის საკითხი.

1-ლ კლასებში ექვსწლიანებთან სამუშაოდ შეირჩნენ და გადამზადდნენ დაწყებით კლასებში მომუშავე მოწინავე პედაგოგები; გადამუშავდა სასწავლო გეგმები და პროგრამები, გამოიცა თერთმეტწლიანი სკოლის 1-ლი კლასისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები. დამუშავდა მასწავლებელთათვის 14 დასახელების მეთოდიკური სახელმძღვანელო.

1-ლი კლასების ბავშვთა ერთი ნაწილისათვის სკოლამდელ დაწესებულებებში გაიხსნა კლასები, სადაც მათ სწავლის, კვების, გართობისა და ძილის უკეთესი პირობები აქვთ. ამ მხრივ გამოირჩევა მაზარაძის, თელავის, ხობის, ცაგერის, ქ. ქ. ქუთაისისა და რუსთავის სკოლამდელი დაწესებულებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ჩაბარებულია ხსნილია 200-მდე 1-ლი კლასი 5893 მოსწავლეზე.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შრომითი აღზრდის, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და მწარმოებლური შრომის სრულყოფისათვის.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ისწავლება 142 სპეციალობის სხვადასხვა პროფილი.

28000-მდე მოსწავლე გაერთიანებულია 26 სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატსა და საბაზო წარმოება-დაწესებულებების 140-მდე საამქროსა და უბანში.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბაზაზე ფუნქციონირებს 94-მდე სასწავლო-საწარმოო მეურნეობა, რომლებშიც დასაქმებულია 10000-მდე მოსწავლე.

სასწავლო-საწარმოო მეურნეობებში ორგანიზებულია მოსწავლეთა შრომითი ანაზღაურება სათანადო წესის მიხედვით. მოსწავლეები თავისუფლად ითვისებენ პოლიტეკონომიის ისეთ ტერმინებს, როგორიცაა თვითღირებულება, ღირებულება, ბრიგადული იჯარა და სხვა. მათ კარგად გაიგეს და ჩაბმულნი არიან სოცშეჯიბრებებში.

საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომა II-X კლასების მოსწავლეთათვის კარგად არის დაყენებული ქ. ქუთაისის მე-4, 32-ე, 34-ე და ქ. თბილისის მე-16, 62-ე. 72-ე, 79-ე, 115-ე და 117-ე, საშუალო სკოლებში.

რესპუბლიკის 53 სკოლაში 7000-მდე მოსწავლე უკვე ეუფლება „პროგრამისტ-ლაბორანტის“ პროფესიას.

შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად მიმდინარე სასწავლო წელს სკოლებს გამოეყოთ 14 ცალი ავტოკაბინეტი, 20 ცალი ტრაქტორის კაბინეტი, 25 ცალი ავტოტრენაჟორი, სხვადასხვა დასახელების დაზგა 1200 ცალი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლებისათვის მიღებული და სკოლებზე განაწილებული იქნა დევეკასა და აგატის ტიპის 161 ცალი გამოთვლითი მანქანა.

კიდევ უფრო გაუმჯობესდა სკოლების სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა. მომზადდა და მასწავლებელთა დასახმარებლად დაიგზავნა 14 დასახელების მეთოდიკური რეკომენდაცია I, II და III კლასების მასწავლებელთათვის. გამოიცა რეკომენდაციები მათემატიკაში. შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოები III-VI კლასებისათვის — „რუსულ ენაში“; II კლასებისათვის — „გარე სამყაროს გაცნობა“, „საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია“ — მასწავლებელთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთათვის მომზადდა და დაეგზავნათ „მეცადინეობათა კომპლექსი ფიზკულტურაში“, „შემოქმედებითი თამაში უფროსი ასაკის ბავშვებისათვის“, „დიდაქტიკური თამაშები მცენარეების გამოსაცნობად“.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად გაფართოვდა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი, განმტკიცდა მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

აღსანიშნავია ამ მხრივ ექვსწლიანთა გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის ძილის ორგანიზაციის მოწყობა ქ. ქ. ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, გორის, ვანის, ცაგერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, სამტრედიის, გურჯაანის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში.

გარკვეული ღონისძიებანი გატარდა სკოლიდან 3 და მეტი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

მიღებულია ზომები მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. მთელ რიგ რაიონებში მოეწყო სასკოლო სასადილოები და ბუფეტები, გაიზარდა მოსწავლეთა დასაჯდომი ადგილების რაოდენობა. ნაწილობრივ მოწესრიგდა სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე.

ჯეროვანი ყურადღება მიექცა სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საკითხს. 1986—1987 სასწავლო წელს რესპუბლიკაში განაწილდა 403 საშუალო სპეციალური და 1314 უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში 1986 წლის იანვრიდან დღემდე გადამზადდა 21228 სახალხო განათლების მუშაკი. მათ შორის ახალი საგნების: „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ — 1706, ხოლო „საოჯახო ეთიკისა და ფსიქოლოგიის“ — 629 მასწავლებელი.

მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მიმდინარე სასწავლო წელს ექსპლოატაციაში შევიდა ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქევის 96 კვადრატული მეტრის ორბინიანი საცხოვრებელი სახლი. გარკვეული მუშაობა ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეოთხედურ სისტემაზე გადასაყვანად.

ამასთან, აგვისტოს კონფერენციებზე გამოვლინდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელს უშლიან სასკოლო რეფორმის ძირითადი მოთხოვნილებების სრულყოფილად განხორციელების საქმეს.

გეგეჭკორის, დმანისის, თიანეთის, საჩხერის, ვანის, წითელწყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს, ქ. წყალტუბოს და სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა ვერ გაატარეს გადამჭრელი ზომები ახალი 1986—1987 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მოსამზადებლად.

მოხსენებების განხილვისა და კრიტიკული გამოსვლების ანალიზით დადგინდა, რომ ჯერ კიდევ ბევრ რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს.

გეგეჭკორის, გურჯაანის, ლაგოდეხის, წითელწყაროს რაიონებში, რესპუბლიკურ სპორტულ სკოლა-ინტერნატში გამოიკვეთა პედაგოგიური კოლექტივებისადმი სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების და სკოლის ხელმძღვანელთა სუსტი კონტროლი.

გეგეჭკორის სკოლა-ინტერნატი (ამხ. ო. ხუხუა), კაჭრეთის სკოლა-ინტერნატი (ამხ. ზ. სიმონიშვილი) და რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატი (ამხ. ვ. გაგუა) მოუმზადებლები შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

აღინიშნა, რომ აფხაზეთის, აჭარის ასსრ, მარნეულის, დმანისის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ჯერ კიდევ მიღებული არა აქვთ სხვადასხვა დასახელების სახელმძღვანელოები. მეთოდური ლიტერატურა.

სამშენებლო სამუშაოების დაუსრულებლობის გამო მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრისათვის ექსპლოატაციაში ვერ შევიდა გეგმით გათვალისწინებული სასკოლო და სკოლამდელი დაწესებულებების შენობები. კერძოდ; ქ. თბილისის გლდანის რაიონში სასკოლო შენობა „გლდანულა“ 1256 მოსწავლე-ადგილზე, ზუგდიიდს რაიონის სოფელ ახალსოფლის საშუალო სკოლა 340 მოსწავლე-ადგილზე და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჩლოუს საშუალო სკოლა 784 მოსწავლე-ადგილზე.

უხარისხოდ ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი საჩხერის რაიონის სოფელ სარეკის, საჩხერის მე-3 და სოფელ ცხომის საშუალო სკოლებსა და სოფელ სარეკის საბავშვო ბაღში.

1-ლი სექტემბრისათვის ვერ მიიღეს აღსაზრდელები საჩხერის რაიონის სოფლების ნიგვზარის, სისვაძეების, სარეკის 1-მა, საჩხერის 1-მა საბავშვო ბაღებმა.

ასეთივე მდგომარეობაა ქ. რუსთავის. ჭიათურის რაიონის ზოგიერთ სკოლებში, სადაც დროულად ვერ დამთავრდა სარემონტო სამუშაოები ახალი სასწავლო წლისათვის.

ნაკლოვანებებია სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების გახსნის, მათთვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და ცხელი კერძებით მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის საქმეში ქ. ქ. ჭიათურის, ზუგდიდის, ადიგენის, გორის, ამბროლაურის, ქარელის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

აჭარის ასსრ ხულოს, შუახევის და ქედის რაიონებში ჯერ
ეროვნული ბიბლიოთეკა
არ სრულდება 3 და მეტ კილომეტრზე მცხოვრებ ბავშვთა სკოლაში გადაყვანის პრობლემა.

აღნიშნული საკითხი მოგვარებული არ არის ჩხოროწყუს, ხობის, წყალტუბოს, წალენჯიხისა და სხვა რაიონებში.

ნაკლოვანებებია სკოლების კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. აბაშის რაიონის სოფლების ნაესაკოვოს, მაიდნის, გაუწყინარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს არა ყავთ მათემატიკის მასწავლებლები.

გორის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აკლიათ ქიმიის და გერმანული ენის მასწავლებლები. სათანადო ყურადღება არ ექცევა ხელმძღვანელი მუშაკების შერჩევის საქმეს ახალქალაქის, გარდაბნის, ვანის, ბოლნისის, დმანისის, წყალტუბოს რაიონებში, ქ. რუსთავში.

სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ნაკლებობაა ზუგდიდის, ცხაკაიას რაიონებში. ქ. ქ. გორის, ზუგდიდის, ფოთის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

კრიტიკული შენიშვნები გამოთქმული იყო მთელი რიგი საბაზო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არასაკმარის დახმარებას უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩაბმის საქმეში.

აღინიშნა საქართველოს სსრ აგრომრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, საგზაო-საავტომობილო, მშენებლობის, კომუნალური მეურნეობის სამინისტროების დაქვემდებარებაში შემავალი მთელი რიგი საბაზო ორგანიზაციების ნაკლები დაინტერესება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მანქანა-დანადგარებით და ხელსაწყო-იარაღებით მომარაგების საქმეში

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად ჯერ კიდევ სრულყოფილად არ წარმართავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და მიღებული დადგენილებების ანალიზის საფუძველზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდე დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

1. 2. სახალხო განათლების ადგილობრივი რგოლის ორგანიზატორული მუშაობა წარმართონ სახალხო განათლების დარგში სკკპ 27-ე ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის მითითებათა და ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა სარეალიზაციოდ დასახულ ღონისძიებათა შესასრულებლად. დღენიადაგ იზრუნონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

1. 3. ყველა ზომა იხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველსაყოფად; აქტიურად გამოიყენონ მასწავლებელთა ატესტაცია პედაგოგიური შრომის შედეგების ასამაღლებლად.

1. 4. მასწავლებელთათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად მიზანმიმართულად წარმართონ მეთოდური სამსახურის საქმიანობა; სრულყოფილად გამოიყენონ შემოქმედებითად მომუშავე მასწავლებელთა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება და ინიციატივა. უზრუნველყონ პედაგოგიურ მუშაკთა დროული და ხარისხიანი გადამზადება სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის მდგომარეობის ღრმა ანალიზის საფუძველზე.

1. 5. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ 6 წლის ასაკის ბავშვთა სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, სკოლებში სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფას, ექვსწლიანთა მედიკო-პედაგოგიკური შემოწმების ორგანიზაციას, მათთან მუშაობისათვის მასწავლებელთა და აღმზრდელთა რეზერვის მომზადებას.

1. 6. კიდევ უფრო სრულყონ მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და აღზრდის ხარისხი, პროფესიული ორიენტაცია; გააქტიურონ მუშაობა მწარმოებლური შრომისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად, შრომითი სწავლების სასწავლო პროცესის სათანადო მასალებით აღჭურვისათვის.

1. 7. მკვეთრად გაუმჯობესონ მმართველობითი საქმიანობის სტილი და მეთოდები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის მოთხოვნათა შუქზე. დაძლიონ ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმი რაიონების, ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობაში; აამაღლონ სკოლებში სასწავლო საგნების სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. გააძლიერონ სკოლების დირექტორების პასუხისმგებლობა პედაგოგიურ კოლექტივებში შემოქმედებითი გარემოს შექმნისადმი, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი აქტივობის განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამინისტროს აპარატის სამმართველო-განყოფილებებმა განიხილონ მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციების მასალები; გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ღრმა ანალიზის საფუძველზე დასახონ და განახორციელონ სასკოლო მუშაობის სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებები, რისთვისაც საქმიანი კონტაქტები დაამყარონ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან.

2. 1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1984 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე განახორციელონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი.

2. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებების ხელმძღვანელი და მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტებას და ახალგაზრდა სპეციალისტების ადგილებზე დამაგრებას.

2. 4. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებებმა მიმდინარე წლის 10 ოქტომბრამდე ოპერატიულად უპასუხონ კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების ავტორებს და 1-ლ დეკემბრამდე წარმოადგინონ ინფორმაციები აგვისტოს კონფერენციებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების შესრულების შესახებ.

3. კონტროლი აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე დაევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გადაწყვეტილება — ქ. ზუგდიდის, ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 1-ლ კლასებში ექვსი წლის ასაკის ბავშვთა ჩარიცხვის საქმეში არსებული დარღვევების შესახებ 3

გადაწყვეტილება — გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული „პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის“ სტატიის შესახებ 6

გადაწყვეტილება — ახალი სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელმძღვანელოებით, პროგრამებით, მეთოდიკური რეკომენდაციებითა და სხვა აუცილებელი ბეჭდური პროდუქციით მზადყოფნის შესახებ 9

გადაწყვეტილება — უფროსპიონერხელმძღვანელთა კადრებთან მუშაობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ 11

გადაწყვეტილება — პიონერული ორგანიზაციის საქმიანობისადმი პედაგოგიური დახმარების ქმედითობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ . . 17

გადაწყვეტილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 314 დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ერთობლივი მუშაობის შესახებ 21

გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1986 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ 36

Решение — Об организации экспонирования учреждений народного образования республики на Выставках Достижений Народного Хозяйства СССР и ГССР и упорядочении системы обобщения передового опыта педагогических коллективов и отдельных работников народного образования 40

გადაწყვეტილება — სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში შექმნილი მდგომარეობის შესახებ 44

გადაწყვეტილება — ყვარლის რაიონის მე-3, საჩხერის რაიონის სოფლების სავანისა და ქორეთის საშუალო სკოლების მოსწავლეთა კვების პროდუქტებით მოწამვლის შესახებ 47

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საბავშვო სახლების და ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი სრულყოფის მიზნით დამატებით ღონისძიებათა განხორციელების შესახებ 50

გადაწყვეტილება — ქ. გორის სახალხო განათლების განყოფილების გამგის ნ. კახნიაშვილის მიერ საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის შესახებ 58

გადაწყვეტილება — მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა 1986 წლის აგვისტოს კონფერენციებისა და რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში 1986—1987 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყების შესახებ . . 60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 9/XII-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/II-87 წ.;
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 5,75;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.
შეკვეთა № 1077 უე 09530 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе № 7

J. 5193
220187
ეროვნული
ბიბლიოთეკა